საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 17 (561) ხუთშაბათი, 28 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 26 იანვარს გამთენიისას ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის მიდამოებში ჩვენს პოზიციებს მძიმე ტექნიკის გამოყენებით შემოუტია მტრის მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა, მათი შეტევა მოგერიებული იქნა. ბრძოლაში განადგურებულია მტრის 6 მეომარი, ჩვენი მხრიდან დაიჭრა 2 მებრძოლი.

10 საათისათვის მოწინააღმდეგე გააქტიურდა მდინარე გუმისთაზე და შრომა-კამანის მიდამოებში განლაგებულ ჩვენს პოზიციებს ცეცხლი დაუშინა სოფელ ამზარიდან. საპასუხო საარტილერიო ცეცხლმა მოწინააღმდეგე აიძულა დადუმებულიყო. მოგვიანებით მოწინააღმდეგემ სცადა მოეხდინა მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია ზემო ეშერის მიდამოებში, მაგრამ უშედეგოდ. საარტილერიო ცეცხლის შედეგად მათი მცდელობა ჩაიშალა, ამასთან მწყობრიდან იქნა გამოყვანილი მათი ერთი ტანკი.

* * *

26 იანვარს გუდაუთაში უნდა შემდგარიყო საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისა და აფხაზეთში მყოფი რუსეთის სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელთა შეხვედრა, სადაც უნდა განხილულიყო რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ რუსეთის მხარის მიზეზით შეხვედრა არ შემდგარა.

* * *

11 საათისათვის სოხუმის აეროპორტში დაჯდა ადლერიდან მომავალი 8 ვერტმფრენი, რომელთაც გადმოქონდათ ჰუმანური ტვირთი ქალაქ ტყვარჩელისათვის. შეთანხმების შესაბამისად ქართველმა მხარემ ვერტმფრენები დაუბრკოლებლივ გაატარა ტყვარჩელის მიმართულებით და უზრუნველყო მათი სრული უსაფრთხოება. ტყვარჩელში ჩასულ ვერტმფრენებს დახვდა შეიარაღებული ხალხის მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელმაც უარი განაცხადა ჰუმანური დახმარების მიღებაზე და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ვერტმფრენში მყოფთ. ამასთან აფხაზებმა მოინდომეს დელეგაციის ქართველი წევრების მძევლებად აყვანა, მაგრამ მათი მცდელობა ჩაშალა დელეგაციის სხვა წევრების მტკიცე პოზიციამ, რომელთაც განუცხადეს აფხაზებს, რომ ასეთ შემთხვევაში ისინიც მძევლებად დარჩებოდნენ ტყვარჩელში.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ვერტმფრენები სოხუმის გავლით უკან ადლერში დაბრუნდნენ.

იოსებ გოგეჩია.

◆

27 იანვარს, დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე და 13 საათზე აფხაზეთის მხარემ მასირებული ცეცხლი დაუშინა სოხუმის საცხოვრებელ უბნებს. ქალაქში გაუშვეს ათზე მეტი ჭურვი. ახლომდებარე შენობები დაზიანდა. არიან დაშავებულნი. წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 4 მშვიდობიანი მცხოვრები, მათგან ორი სომეხი ეროვნებისა. რამდენიმე ჭურვი ტროლეიბუსის გაჩერების მახლობლად გასკდა. საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის, მაგრამ ერთ-ერთ მგზავრს ფეხი მოსწყვიტა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ცხოვრების რეალობით ნაკარნახევი ბიუჯეტი

საქართველოს პარლამენტის სხდომა



27 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე განახლდა წინა დღით დაწყებული კამათი 1993 წლის პირველი კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. გამომსვლელები — მინისტრები, პარლამენტის წევრები აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი თუმცა არ გამოირჩევა ორიგინალობით, შედგენილია ტრადიციული სქემის მიხედვით და მოითხოვს სრულყოფას, მიუხედავად ამისა იგი მიღებულ უნდა იქნეს, რადგან შეუძლებელია სახელმწიფომ ახალი სამეურნეო წელი დაუმტკიცებელი ბიუჯეტით დაიწყოს.

სხდომაზე დაამტკიცეს აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის ახალი წევრები — ოთარ ზუხბაია, ბორის კაკუბავა, გენო კალანდია, თამაზ ნადარეიშვილი, ვახტანგ ყოლბაია, თამაზ წოწონავა, გია ბარამიძე, პაატა კოღუაშვილი.

შესვენების შემდეგ კამათი ბიუჯეტის თაობაზე კვლავ გაგრძელდა.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა-პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

* * *

სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე.

გივი კიკვაძისა და იოსებ დავითაშვილის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნომერში

◆ როგორ მიდის მიწის რეფორმა? 2
◆ თეირანი მეგობარი ქალაქია 3

სტუმარი ედუარდ შევარდნაძესთან

27 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთში, თავისუფალ ქვეყანათა თანამეგობრობასა და საქართველოში საეკლესიო საქველმოქმედო საერთაშორისო ორგანიზაცია „ხსნის არმიის" მთავარსარდალი რეინდერ შურინკი და ამავე ქვეყნებში სამთავრობო ურთიერთობათა მდივანი სვენ ერიკ იუნგხოლმი.

მათ საქართველოს ხელმძღვანელს მოახსენეს, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე ჩამოტანილია „ხსნის არმიის" ჰუმანური ტვირთი 32 ტონის ოდენობით. ამჟამად გამოგზავნილია 4 000 ტონა პროდუქტი, რომელიც განაწილდება „ევროპის პროცესის" წითელი ჯვრისა და „ხსნის არმიის" სამსახურების მონაწილეობით.

გარდა ამისა „ხსნის არმია" აპირებს ფართოდ გაშალოს სოციალური დახმარების პროგრამები საქართველოში. უახლოეს ხანში დაგეგმილია უფასო სასადილოების გახსნა, ომის ვეტერანებისა და ინვალიდებისათვის სპეციალური სოციალური დახმარების გამოყოფა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა საქველმოქმედო საერთაშორისო ორგანიზაცია „ხსნის არმიის" მოღვაწეობას, რომელსაც ის საქართველოში ეწევა, და აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანას დღეს ძალიან სჭირდება ასეთი უანგარო დახმარება.

სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ პროგრამების განვითარებას, რომლებიც ჩვენი საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას ითვალისწინებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

გაერო-ს წარმომადგენლობა საქართველოში

26 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის გაეროს წარმომადგენლობის გახსნის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.

გაერო-ს სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა გაერო-ს წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკაში ბ-ნმა **ფიოდორ სტარჩევიჩმა**, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სახელით საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა **ალექსანდრე ჩიკვაიძემ**.

შეთანხმება ითვალისწინებს ქ. თბილისში გაერო-ს წარმომადგენლობის გახსნას, რომელიც ფაქტიურად უკვე ფუნქციონირებს გასული წლის დეკემბრიდან. მისი საქმიანობა ხელს შეუწყობს საქართველოს ძალისხმევას თავისი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევაში. მომავლისათვის გათვალისწინებულია წარმომადგენლობის ფილიალების გახსნა საქართველოს სხვა ქალაქებში.

წარმომადგენლობა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სამთავრობო პროგრამების რეალიზაციას, ამ სფეროების შესწავლას, ტექნიკურ თანამშრომლობას, კადრების მომზადებას, ინფორმაციის გავრცელებას.

— კავშირების დამყარებას გაერო-ს სხვა ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან (გაერო-ს განვითარების პროგრამა, გაერო-ს უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა საკითხებში, გაერო-ს ბავშვთა ფონდი, გაერო-ს გარემოს დაცვის პროგრამა) და გაუწევს კოორდინაციას საქმიანობას გაერო შესაბამისი რეზოლუციების, წესებისა და პოლიტიკის საფუძველზე;

— გაერო-ს გენერალური მდივნის დავალებით სხვა საქმიანობის წარმართვას.

—საჭიროების შემთხვევაში გაეროს ორგანიზაციებისა და პროგრამების დამატებით ჩართვას ამავე შეთანხმებაში.

შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობა გაერო-ს წარმომადგენლობას გამოუყოფს შენობას, რომელშიც, ისევე როგორც მასში განლაგებულ მოწყობილობას და ქონებას იმუნიტეტის სტატუსი მიენიჭება და ხელშეუხებლობის გარანტიები მიეცემა.

წარმომადგენლობის შემოსავალი და სხვა სახის შენაძენი თავისუფლდება დაბეგვრისაგან, თუმცა წარმომადგენლობა გადაიხდის საქალაქო მომსახურების ხარჯებს.

წარმომადგენლობის ოფიციალური თანამშრომლები, ისე როგორც ექსპერტები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით, რომელიც მათ ენიჭებათ არა პირადი კეთილდღეობის მიზნით, არამედ გაერო-ს ინტერესებიდან გამომდინარე, იმუნიტეტის სტატუსის მოხსნის უფლება აქვს გაერო-ს გენერალურ მდივანს, თუკი იგი ჩათვლის, რომ იმუნიტეტი არღვევს სამართალს და საზიანოა გაეროსათვის.

თავის მხრიდან საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს წარმომადგენლობა უზრუნველყოს შენობით, ტელეკომუნიკაციებით, საქალაქო მომსახურებით, ტრანსპორტით, აგრეთვე შესაფერისი საცხოვრებელი ბინებით, მათი მომსახურებით (წყალი, ელექტრობა, კანალიზაცია და ა. შ.).

ამასთან, გაერო-ს წარმომადგენლობის თანამშრომლებს უნდა მიეცეთ ყველა ის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პრივილეგია, რითაც დიპლომატიური მისიების თანამშრომლები სარგებლობენ.

წარმომადგენლობაზე აღიმართება გაერო-ს დროშა და გაერო-ს ნიშნით აღინიშნება მისი შენობა და სატრანსპორტო საშუალებანი.

შეთანხმებაში განსაზღვრულია აგრეთვე მხარეთა შორის წამოჭრილი სხვადასხვა ხასიათის საკითხების მოგვარების გზები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ელჩის მიღება

27 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ ზემსკი მისივე თხოვნით. საუბრის დროს შეეხნენ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება აფხაზეთის მხრივ ქალაქ ტყვარჩელში ჰუმანური დახმარების მიღებაზე უარის თქმას. ამასთან დაკავშირებით ბატონმა ზემსკიმ ელჩის სახელით განაცხადა: რუსეთის მხარე იმით ხელმძღვანელობს, რომ ჰუმანური დახმარების გაწევის მიზანია ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა, მათი ხსნა შიმშილისაგან და არ შეიძლება განპირობებული იყოს რაიმე პოლიტიკური და ნებისმიერი სხვა პირობებით. ზურაბ ლაბახუასა და მასთან ერთად მყოფი ადამიანების გათავისუფლება — ეს გარკვეული საკითხია, რომელიც, ვიმედოვნებთ, გადაწყდება. ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ თქვა, რომ საქართველოს მხარე ხელს შეუწყობს ამ ტვირთის დანიშნულების ადგილას ჩატანას, და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყველაფერს იღონებს ამისათვის.

შუბი ხალთაში არ დაიმალება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის პრესჯგუფის განცხადება

უკანასკნელი დღეების მანძილზე რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება, კერძოდ, ტელეკომპანია „ოსტანკინო", დიდ ყურადღებას უთმობს რუსეთის მი-8 ვერტმფრენის ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა ბედს, რომელიც 16 იანვარს ყაბარდო-ბალყარეთის სოფელ თებერდიდან ტყვარჩელში მიფრინავდა და იძულებითი დაჯდომა მოუწია გულრიფშის რაიონის სოფელ საკენის მიდამოებში, კონტროლს რომ უწევს საქართველოს მხარე. უნდა აღინიშნოს, რომ კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო ავიაციის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კუთვნილი ეს ვერტმფრენი საქართველოს სამხედრო ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად მიფრინავდა, დაარღვია რა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული მორიგება, ამასთან ასრულებდა კომერციულ რეისსაც, შემოვიდა საქართველოს საჰაერო სივრცეში, ამასთან საომარი მოქმედების ზონაში მდებარე დაბაში.

რუსეთის ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალება ყოველთვის ძირითად ყურადღებას უთმობს იმას, რომ ამ ვერტმფრენს გადაჰქონდა ჰუმანური ტვირთი და ამიტომ არ შეიძლებოდა მისი, აგრეთვე ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა დაკავება. ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ:

1. ამ ვერტმფრენს არ ჰქონია „წითელი ჯვრის" ამოსაცნობი ნიშნები;
2. ჰუმანური რეისები უნდა ხორციელდებოდეს იმ სახელმწიფოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზეც მიაქვთ ესა თუ ის ჰუმანური ტვირთი, მით უმეტეს, თუ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედება მიმდინარეობს.

ამჯერად ეს პირობა არ დაუცავთ ამ რეისის მომწყობ ორგანიზაციებსა და შემსრულებლებს.

უფრო მეტიც, ვერტმფრენის მეთაურს აღმოუჩინეს ჩანაწერი, რომელშიც კოდირებული იყო გადასაზიდი ტვირთის სახელწოდება. გაირკვა, რომ ამ ვერტმფრენმა 7-დან 18 იანვრამდე შეასრულა 12 რეისი ყაბარდო-ბალყარეთიდან ტყვარჩელში, რაც არ გამორიცხავს სამხედრო დანიშნულების ტვირთის გადაზიდვის შესაძლებლობას.

კომპეტენტური ორგანოები იძიებენ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის აღნიშნულ ფაქტს. ეკიპაჟის წევრებმა და მგზავრებმა ჩვენებანი მისცეს საგამოძიებო ორგანოთა მუშაკებს. ვერტმფრენის ერთ-ერთი მგზავრი — 35 წლის უკრაინელი ფოტოჟურნალისტი ვლადიმერ პერსიანოვი დაკავების მეორე დღესვე — 20 იანვარს გაათავისუფლეს. ეს იმის გათვალისწინებით მოხდა, რომ იგი არის მეგობარი სახელმწიფოს — უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე, აგრეთვე მხედველობაში იქნა მიღებული ჰუმანიზმის პრინციპები.

ვერტმფრენის მგზავრთა შორის იყო გუდაუთის მთავრობის ერთ-ერთი წევრი ზურაბ ლაბახუა. მისი დაკავება იმით არის გამოწვეული, რომ ვერტმფრენში აღმოჩენილია მისი კუთვნილი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ზ. ლაბახუა ხელმძღვანელობდა ეგრეთ წოდებული აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს, აგრეთვე იყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს რწმუნებული ტყვარჩელ-ოჩამჩირე-გალის ზონაში. ვერტმფრენში აღმოჩნდა მისი საიდუმლო პაკეტები აფხაზეთის ხელმძღვანელობის სახელზე. ეს პაკეტები შეიცავენ სამხედრო ხასიათის ცნობებს და მოწმობენ, რომ იგი იყო იმ საომარ ოპერაციათა კურსში, რომლებსაც აფხაზეთის ფორმირებები აწარმოებდნენ საქართველოს მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. კომპეტენტური ორგანოები სწავლობენ ვერტმფრენში აღმოჩენილ მასალებს. ამჟამად ბატონი ლაბახუა თბილისში იმყოფება. 25 იანვარს ორშაბათს თბილისში გაფრენამდე იგი სოხუმში ინახულეს აქ მყოფმა საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლებმა. მათ განაცხადეს, რომ პირობები, რომელშიც ზ. ლაბახუა იმყოფება, სავსებით შეესაბამება დაკავების ადგილებში ყოფნის ნორმებს. უფრო მეტიც, მისი დაკავების პირველსავე დღეებში, მასთან დაუშვეს ახლო ნათესავები.

რუსეთის ვერტმფრენის ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა, მათ შორის აფხაზური ეროვნების მოქალაქეთა, აგრეთვე ზ. ლაბახუას, ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამხედრო ხელისუფლებმა 19 იანვარს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევისათვის დააკავეს კრასნოდარის კიდევ ერთი მი-8 ვერტმფრენი, რომელიც 19 იანვარს მიფრინავდა პირველი ვერტმფრენის კვალზე. ამ მეორე ვერტმფრენის ეკიპაჟი და მგზავრი (ზემოაღნიშნული კრასნოდარის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი) არავის არ დაუკავებია. ისინი იმყოფებიან სოხუმში, რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო ჯანმრთელობის კერაში. თავად ვერტმფრენი კი დაკავებულია წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე.

ქ. სოხუმი. 26 იანვარი.

სოხუმის გარნიზონის სამობილიზაციო განყოფილებისა და სამხედრო კომენდატურის

განცხადება

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 29 დეკემბრის კანონის თანახმად და ქალაქ სოხუმში სამხედრო წესებთან დაკავშირებით გაერთიანებული სამხედრო სარდლობის განყოფილება იუწყება, რომ ყველა სამხედრო ვალდებული პირი დადგენილ ვადებში დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს შესაბამის უწყებათა სამხედრო განყოფილებებში.

აკრძალულია საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და მისი დატოვება შესაბამის განყოფილებათა ნებართვის გარეშე. ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც თავს აარიდებენ აღნიშნულ მოთხოვნებს, დაისჯებიან მოქმედი კანონმდებლობით.

საზოგადოებრიობისა და სამხედრო კომენდატურისათვის ცნობილნი არიან ის პირნი, რომლებმაც დატოვეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სხვადასხვა მიზეზით იმალებიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში და მის ფარგლებს გარეთ. არის შემთხვევები, როცა ეს პიროვნებანი სარგებლობენ ლტოლვილის სტატუსით და შესაბამის მატერიალურ დახმარებასაც კი იღებენ. არის ამ პირებზე საეჭვო მივლინების მოწმობის გაფორმების შემთხვევები. ეს პირები აფხაზეთში დაბრუნებას აპირებენ მხოლოდ ომის დამთავრებისა და იქ სტაბილიზაციის შემდეგ.

სამხედრო კომენდატურა ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს და იძულებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნულ პირთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი გაკიცხვის ფორმა და უახლოეს ხანში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოაცხადოს ამ პირთა სიები. დაისმება მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მათი ამოწერისა და საცხოვრებელ ფართობზე უფლების ჩამორთმევის საკითხი.

სიმართლე გაარღვევს სიცრუის ბარიერს,

ანუ ცხინვალელი ოსის გულისტკივილი

ცხინვალის შესასვლელთან რუსეთის სამხედრო შვეულმფრენების ყოფილი პოლკის ტერიტორიაზე დისლოცირებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის მებრძოლებთან ყოფნის დროს შევხვდით ჩვენს ძველ ცხინვალელ ოს მეგობარს, რომელიც წინათ ერთ-ერთი დიდი წარმოების მთავარ ინჟინრად მუშაობდა. მის გვარს, მისივე თხოვნით, შეგნებულად არ ვასახელებთ გასაგები მიზეზების გამო.

იგი ერიდებოდა, რომ ოსებს არ შეენიშნათ...

— გული მტკივა, როცა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ქართველებს ოსების გენოციდს აბრალებენ და მსოფლიო საზოგადოებას სიცრუეს აწვდიან. მჯერა, დამალავენ, — ნაღვლიანად გვითხრა მან. — ახლა მინდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალური ცნობა გაჩვენოთ, — თითქმის ჩურჩულით ამბობს ჩვენი ცხინვალელი ოსი მეგობარი, — რომელიც 1985 წლის ეკონომიკური და სოციალური აღმავლობის მაჩვენებლებს აშუქებს. იქნებ პრესის საშუალებით გააცნოთ ფართო საზოგადოებრიობას. დაე, გაიხსენოს მშრომელმა ოსმა ხალხმაც, როგორი წარმატებები გვქონდა, როცა ქართველებთან მშვიდობიანი ურთიერთობით ვაშენებდით მრეწველობის, კულტურის, საყოფაცხოვრებო, განათლების თუ სხვა დანიშნულების ობიექტებს. კონფლიქტის ხანძარი ოსებსა და ქართველებს შორის გააჩაღა ოსი სეპარატისტების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ზოგიერთი ცრუპატრიოტი ქართველის მხარდაჭერით. მომავალი ნათელს მოჰფენს ყოველივეს. ახლა კი ქართველების მიერ ოსეთის „ჩაგვრის" საილუსტრაციოდ ფაქტებს მივმართოთ:

1985 წელს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სამრეწველო ობიექტების, ცხინვალის მექანიკური ქარხნის რეკონსტრუქციისათვის, დაბა ქვაისაში საწარმოო ნარჩენების ობიექტების ასაგებად 14 მილიონ მანეთზე მეტი თანხა იქნა გამოყოფილი. აღნიშნული 1985 წლის მანძილზე ცხინვალის საავეჯო ფაბრიკამ 51 ათასი კვადრატული მეტრი პარკეტი და 7 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ავეჯი დაამზადა სარეალიზაციოდ. ცხინვალის საწარმოებმა ქვეყანას მისცეს 8 მილიონ 11 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, 11 მილიონი ბოთლი მინერალური წყალი, 278 ათასი დეკალიტრი მაღალხარისხოვანი ლუდი, 6940 ტონა პურფუნთუშეული, 747 ტონა ყველი, 43364 ტონა პირუტყვის კომბინირებული საკვები. სავაჭრო ქსელში რეალიზებული პროდუქციის თანხამ 75 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ყოფილი ოლქის მოსახლეობას ემსახურებოდა 155 მასობრივი ბიბლიოთეკა, 67 კინოდანადგარი, ოსურ ენაზე გამოდიოდა გაზეთი და მხატვრული ლიტერატურა, ნაყოფიერად ფუნქციონირებდა თეატრი, პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სხვა კულტურის და განათლების კერები, მშობლიურ ოსურ ენაზე საშუალო განათლების მიღება შეეძლო ნებისმიერ ბავშვს.

ყოველივე ეს ისეთი ჯიუტი ფაქტებია, რომელთა გაყალბებას ვერ შეძლებენ დეზინფორმაციის ტალღაზე მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ნუთუ შეეძლო ჩამოთვლილ წარმატებათა მიღწევა ოს ხალხს გენოციდისა და ჩაგვრის პირობებში? ყოველივე ამას ხომ მარტო ოსი ხალხი არ ქმნიდა. ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მეგობრულად მცხოვრები ქართველები, ოსები, ებრაელები, სომხები, რუსები და სხვა ეროვნების ადამიანები ერთიანი ძალისხმევით აღწევდნენ წარმატებებს.

დღეს კი განადგურებული, გადამწვარი და გაძარცვულია წლების მანძილზე მშვიდობიანი შრომით შექმნილი. თითქოს სიცოცხლე შეწყდა. სეპარატისტების მიერ თავსმოხვეულმა უაზრო სისხლისღვრამ ათასობით ქართველი და ოსი ლტოლვილად აქცია...

ღრმად მწამს, სიმართლე გაარღვევს სიცრუის ბარიერს და ოსი და ქართველი ხალხები კვლავ ერთად იღვაწებენ ახლა უკვე დამოუკიდებელი საქართველოს კეთილდღეობისათვის, — დასძინა საუბრის დასასრულს ჩვენმა ცხინვალელმა ოსმა მეგობარმა.

რობერტ ცუცქირიძე,
თემო ნაფიშვილი.

კომისია აცხადებს

ისევ პრესის თავისუფლების გამო!

ბოლო ხანებში გახშირდა საუბარი საქართველოში პრესის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ. ზოგიერთი პერიოდული გამოცემის ხელმძღვანელობა ოფიციალურად თუ არაოფიციალურად აცხადებს, რომ დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს გაზეთების დახურვის, რედაქციის ან მისი თანამშრომლების დარბევის მუქარებს და ტერორიზების ფაქტებს.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ: მიუღებლად მიგვაჩნია პრესის თავისუფლების შეზღუდვისაკენ მიმართული ყოველი კონკრეტული ფაქტი და ვგმობთ მათ. პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნებისმიერი მასალის მიმართ ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან კონკრეტული პრეტენზიების წაყენების უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანში იგი აღმოაჩენს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს...

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი ამა თუ იმ პირის მიერ პრესის თავისუფლების შეზღუდვის მოთხოვნა ყოველთვის არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ იგი გამოხატავს ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს განზრახვას ან აზრს. ყოველ პიროვნებას, მათ შორის პარლამენტის წევრს ან რომელიმე თანამდებობის პირს, აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი შეხედულება ნებისმიერ საკითხზე (მათ შორის პრესის თავისუფლებაზეც). თუ ასეთ განცხადებებს ვინმეს მხრიდან მოჰყვება პრესის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართული კონკრეტული ქმედებები, ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ მათი ბრალდება და დაიცვან კანონი პრესის თავისუფლების შესახებ. მაგრამ თუ ასეთი განცხადებები მხოლოდ აზრის გამოთქმის დონეზე რჩება, მაშინ დეკლარაციები იმის შესახებ, რომ ხელისუფლების ორგანოები დღეს საქართველოში ზღუდავენ პრესის თავისუფლებას, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

კომისია თხოვს ყველა დაინტერესებულ პირს, აცნობოს მას პრესის თავისუფლების შეზღუდვისაკენ მიმართული კონკრეტული ფაქტები (ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ან მათი სახელით), რათა მათ მიეცეთ სათანადო შეფასება..

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ქალაქ თბილისის ვიცე-მერის — მუნიციპალიტეტის პრემიერის შესახებ

დაინიშნოს გიორგი ცაგარელი ქალაქ თბილისის ვიცე-მერად — მუნიციპალიტეტის პრემიერის თანამდებობაზე.

ე. შევარდნაძე.

1993 წელი, 27 იანვარი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ნუგზარ სარჯველაძე დაინიშნა ახალციხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ნუგზარ ნიკოლოზის ძე სარჯველაძე დაიბადა 1955 წელს. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, იყო ამავე ინსტიტუტის ლაბორანტი, ასისტენტი, დოცენტი, შრომის დაცვის კათედრის გამგე. ახალციხის რაიონის პრეფექტის მოადგილე. არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ მისი 1992 წლის 18 იანვრის, 6 თებერვლის და 10 მარტის დადგენილებათა შესაბამისად რესპუბლიკის 67 რაიონიდან 51-ში ხორციელდება მიწის რეფორმის პირველი ეტაპის — საკარმიდამო ნაკვეთების შევსების ღონისძიებანი. რაიონების გამგეობებთან და ცალკეულ სოფლებში შეიქმნა მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის განყოფილებანი, კომისიები.

კერძო საკუთრებაში გადასაცემად შერჩეულია 440 ათასი ჰექტარი მიწა, მათ შორის: სახნავი — 196 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული — 64 ათასი ჰექტარი, ნასვენი — 0,9 ათასი ჰექტარი, სათიბი — 32 ათასი ჰექტარი, საძოვარი — 108,8 ათასი ჰექტარი, ჩამონაშენი მიწები — 15,9 ათასი ჰექტარი.

შერჩეული ფართობიდან საკარმიდამო ნაკვეთების შესავსებად გამოყოფილია 342 ათასი ჰექტარი. ამრიგად, 1993 წლის პირველი იანვრისათვის კერძო საკუთრებაში ფორმდება 554 ათასი ჰექტარი ფართობის გადაცემა (მიწის რეფორმის დაწყებამდე არსებული 202,9 ათასი ჰექტარი საკარმიდამო და 9,0 ათასი ჰექტარი მებაღეობის მიწების ჩათვლით), მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო სავარგული — 535,6 ათასი ჰექტარი, ანუ რესპუბლიკაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 18 პროცენტი, აქედან: სახნავი — 239,3 ათასი ჰექტარი (რესპუბლიკის მთელი სახნავი ფართობის 30,1 პროცენტი), მრავალწლიანი ნარგავები — 156,6 ათასი ჰექტარი (47 პროცენტი), ნასვენი — 0,8 ათასი ჰექტარი (5 პროცენტი), სათიბი — 29,9 ათასი ჰექტარი (19 პროცენტი), საძოვარი — 98,1 ათასი ჰექტარი (6 პროცენტი), ჩამონაშენი მიწები — 10,9 ათასი ჰექტარი (48,6 პროცენტი), ბუჩქნარი 2,8 ათასი ჰექტარი (1,4 პროცენტი).

ამასთან, მიწის რეფორმის საქმიანობას ახლავს სერიოზული ნაკლოვანებანი, მაგალითად, მრავალ რაიონში (ონი, ამბროლაური, ხაშური, ბორჯომი, ახალგორი, დუშეთი, ყვარელი) ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ რეფორმის პროცესს, თვითნებურად წარმართეს მუშაობა ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის რაიონებში შექმნილმა კომისიებმა, სადაც მიწის რეფორმისათვის ფართობები განსაზღვრეს კომლის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმის შესახებ არსებულ დადგენილებათა მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეთესლეობის, სანერგე, საცდელ-სასწავლო მეურნეობებიდან მიწის რეფორმის ფონდში უნდა გამოიყოს ის ფართობები, რომლებიც მეურნეობის ძირითად საწარმოო პროგრამის შესრულებას არ ემსახურება. დადგენილების ეს მოთხოვნა ხშირად ირღვევა. მაგალითად, მცხეთის რაიონის ძალისისა და ქსოვრისის, ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის მეთესლეობის მეურნეობებში, ახმეტის, დუშეთის, ზესტაფონის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობებში, ხოლო გორის რაიონის სკრის საცდელ სადგურში დირექციას დაუპირისპირდა მიწის რეფორმის კომისია, რომელმაც ხელი შეუწყო მოსახლეობას თვითნებურად შეჭრილიყვნენ ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ საცდელ ნაკვეთებში. აღნიშნული ფაქტები საშიშროებას უქმნის რესპუბლიკაში თესლის, ნერგის, სანაშენე პირუტყვის წარმოებას, გენოფონდის შენარჩუნებას.

ზოგჯერ სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას შორის იქმნება კონფლიქტები საზღვრების დადგენასა და სამემკვიდრეო მიწის ნაკვეთების განაწილებასთან დაკავშირებით. ამ მიზეზებით დაპირისპირება მოხდა, მაგალითად, ახმეტის რაიონის სოფლების ქვემო ალვანისა და ბაბანეურის, გარდაბნის რაიონის სოფლების პატარა ლილოსა და ვარკეთილის, მცხეთის რაიონის სოფლების მუხრანისა და ძველი ქანდის, ქარელის რაიონის სოფლების ბებნისისა და სალოლაშენის, გორის რაიონის სოფლების საყავრესა და კასპის რაიონის სოფელ ხოვლის, სამტრედიის რაიონის სოფლების ვაზისუბნისა და გორმაღალას მოსახლეობას შორის.

მიწის რეფორმის შემდგომი განვითარება მოითხოვს მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებას.

მოუგვარებელია მოსახლეობისათვის მიწის საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი სახელმწიფო აქტების გაცემის საკითხი, არ არის დაწყებული რეფორმის ფონდში მიწების გაცემის სამუშაოები შავი ზღვისპირა სამკილომეტრიან ზოლში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამაჩაბლოსა და მთელ რიგ რაიონებში. მოუწესრიგებელია და პირობითი მნიშვნელობითაა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მეზობელ სახელმწიფოებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა), დასაჩქარებელია მიწების გამოყოფა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრები ოჯახებისათვის, გაურკვეველია საკუთრებაში გადაცემულ მიწებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების ღირებულების ანაზღაურების საკითხი, რის გამოც ხშირად მიწის მესაკუთრე ჩეხავს მათ.

რთული რელიეფური და კლიმატური პირობების გამო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ძლიერი ეროზიული პროცესები. უკანასკნელ წლებში არავითარი პრაქტიკული სამუშაოები არ შესრულებულა; ამ ტერიტორიების აღდგენა-დაცვისათვის, ასევე არ ხდება მშენებლობისათვის მიწის გამოყენებისას ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და შენახვა, მიწების რეკულტივაცია.

საჭიროა ამაღლდეს საქალაქო და რაიონული მმართველობის ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მიწის რეფორმის მიმდინარეობისათვის.

შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტის ცენტრალური აპარატის, დაქვემდებარებულ ტერიტორიულ, საპროექტო და სხვა ორგანიზაციების სტრუქტურა, ფუნქციები, მატერიალური ბაზა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე ისეთ თვისებრივად ახალ მოთხოვნებთან, როგორიც არის მიწის რეფორმის განხორციელება, რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვა, მიწის ფასისა და მისი სარგებლობისათვის გადასახადის განსაზღვრა, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ წარმონაქმნთა საზღვრების დადგენა, სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებანი.

მიწის რეფორმის წარმატებით განხორციელების, მიწების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. აღინიშნოს ამბროლაურის, ახალგორის, ბორჯომის, დუშეთის, ონის, ყვარლის, ხაშურის რაიონებისა და მეურნეობათა მიწის რეფორმის კომისიების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

დაევალოთ ახალქალაქის, ნინოწმინდისა და წალკის რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს გააუქმონ მიწის რეფორმის შესახებ არსებული დადგენილების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებანი მიწის ფართობების კომლების წევრთა რაოდენობის მიხედვით გამოყოფის შესახებ და უზრუნველყონ მიწების გამოყოფა კომლების მიხედვით.

2. თესლის, სანერგე მასალის, სანაშენე პირუტყვის წარმოების პოტენციის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების მიზნით აიკრძალოს მეთესლეობის, სანერგე, ჯიშთგამოცდის სანაშენე მეურნეობებზე, სამეცნიერო-კვლევით, საცდელ და სასწავლო დაწესებულებებზე მიმაგრებული ფართობებიდან რეფორმის ფონდში მიწების გამოყოფა ამ მეურნეობებთან, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიასა და საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

არსებული დადგენილების მოთხოვნის დარღვევით ამ კატეგორიის მეურნეობებიდან რეფორმის ფონდში გამოყოფილი მიწები დაუბრუნდეს პირველად მიწათმოსარგებლეებს.

3. საკარმიდამო ნაკვეთების შევსებასთან დაკავშირებით სამემკვიდრეო დავების აღმოფხვრისა და მოსახლეობისათვის გადაცემულ ფართობზე გაშენებული მრავალწლიანი ნარგავების შენარჩუნების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილების მესამე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ამასთან შესაძლებლობის შემთხვევაში მათ პირველ რიგში გამოეყოფათ ყოფილი მიწებიდან ნაკვეთი ნორმის ფარგლებში", აგრეთვე მეხუთე პუნქტიდან სიტყვები „მრავალწლიანი ნარგავების ღირებულების გადახდით".

4. რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობისაგან განტვირთვისა და მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების გაუმჯობესების მიზნით განისაზღვროს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის გამოსაყოფი მიწის ფართობების რაოდენობა თანახმად დანართისა.

დანართში ჩამოთვლილმა რაიონებმა ორი კვირის ვადაში შეარჩიონ დანართით დამტკიცებულ ოდენობის ფარგლებში ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის გადასაცემი ფართობები კონკრეტული ადგილმდებარეობის მიხედვით და შესათანხმებლად წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტს.

საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტთან ერთად ერთი კვირის ვადაში განიხილოს რაიონებიდან შესათანხმებლად წარმოდგენილი მასალები და შესაბამისი დასკვნა აცნობოს რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებ პირთათვის, რომელთაც სურვილი აქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად მიიღონ მიწის ნაკვეთები, დაწესდეს შემდეგი პირობები:

— იმ შემთხვევაში, თუ ამოეწერებიან ქალაქიდან და მუდმივ საცხოვრებლად გადავლენ რაიონში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი დაუწესდეთ „საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების ღონისძიებებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის და 6 თებერვლის დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის დადგენილების მეექვსე პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცით, ხოლო თუ არ ამოეწერებიან ქალაქიდან, ამავე პუნქტის მეხუთე აბზაცით გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად.

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ნებართვით საზღვრისპირა რაიონებში ოჯახებით მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსულთ სარგებლობის უფლებით გამოეყოთ მიწის ნაკვეთი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის დადგენილებით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა ქალაქების, აგრეთვე რაიონული ცენტრების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა განახორციელონ ღონისძიებანი დადგენილების ამ პუნქტში გათვალისწინებულ მიწის მიღების მსურველ მოქალაქეთა ნუსხის დასადგენად და მათი სურვილის გათვალისწინებით მიმართონ შესაბამისი რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის № 290 დადგენილების პირველი პუნქტის ბოლო ორი აბზაცი.

5. მიწების სამეურნეო ათვისებაში მოსახლეობისათვის ხელშეწყობის მიზნით:

— მიჩნეულ იქნეს სასურველად მიწის მიღების მსურველთა ორგანიზაციების მიხედვით შერჩევა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი კომპაქტურად დასახლება;

— საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ არსებული წესის შესაბამისად სათანადო ანაზღაურებით გაუწიონ მოსახლეობას დახმარება ასათვისებელი მიწების დაპროექტებაში, თესლით, სარგავი მასალით, პირუტყვით, მოზარდეულით, მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ინვენტარითა და მეურნეობრიობისათვის საჭირო სხვა მატერიალური საშუალებებით მომარაგებაში, აგრეთვე აგრო-ზოოვეტმომსახურებაში;

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა შეიმუშაოს კრედიტის გაცემის მექანიზმი იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც მიიღებენ მიწის ნაკვეთს;

— საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტის სისტემაში შეიქმნას ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებ პირთა, რომლებმაც მიიღეს მიწის ნაკვეთი, აგრეთვე მებაღეობისა და საავარაკო საზოგადოებების წევრთა მომსახურე ორგანიზაცია და გადაეცეს მას ადრე კოლექტიური მებაღეობის საკოორდინაციო საბჭოს „აგროკოოპის" დაქვემდებარებაში არსებული და საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსათვის გადაცემული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს „საქაგროკოოპმშენის", საშენი მასალების საწარმოს „საქაგროკოოპმრეწვის", საპროექტო კანტორის „საქაგროკოოპპროექტის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ფილიალები თავისი აქტივითა და პასივით, აგრეთვე ადმინისტრაციული შენობა (მარჯანიშვილის ქ. № 44).

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 16 აგვისტოს განკარგულება.

საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროსათვის აგროკოოპის ქონების ბაზაზე შექმნილი სახელმწიფო კონცერნის საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით სალიკვიდაციო თანხების ანაზღაურების საკითხი (885 ათასი მანეთი).

ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოუყენებლობის შემთხვევაში მოქალაქეს ჩამოერთვას გადაცემული ნაკვეთი საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

6. მიწის რეფორმის წარმატებით განხორციელების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ჩაითვალოს მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მიწის რეფორმის გატარების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შემუშავება და მისი მიმდინარეობისადმი კონტროლი.

7. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს მიწის საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დანომრილი სახელმწიფო გერბიანი აქტის ფორმათა მაკეტები.

8. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა 1993-1994 წლებში:

— ჩაატაროს რესპუბლიკის მიწების სრული ინვენტარიზაცია, ასათვისებლად ვარგისი მიწის ფართობების განსაზღვრის გათვალისწინებით და სათიბ-საძოვრების აგროსამეურნეო გამოკვლევით;

— მოახდინოს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სქემის კორექტირება, ხოლო ეროზიასაშიშ უბნებზე დაიწყოს და განახორციელოს საპროექტო-საძიებო და სამშენებლო სამუშაოები.

9. საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტმა ყოველწლიურად უზრუნველყოს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის კომიტეტი საკმარისი რაოდენობის საგეგმო-კარტოგრაფიული მასალებით.

10. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა გააძლიეროს სახელმწიფო კონტროლი მიწების მიზნობრივი გამოყენებისადმი.

11. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტის ცენტრალური აპარატის ადგილმდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობა დაეხმაროს მას ინვენტარის შეძენაში, სამუშაო ოთახების რემონტებაში, ტელეფონიზაციასა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფაში.

12. ასოციაციებს, საზოგადოებებს, სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიზნით მიწები გადაეცეთ მხოლოდ იჯარით, ხოლო მშენებლობის საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი დადგენილი წესით.

13. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტმა 10 დღის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად კომიტეტის დებულება და სტრუქტურა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა
კაბინეტის 1993 წლის 16 იანვრის
დადგენილების დანართი

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრები მოსახლეობისათვის გამოსაყოფი ფართობები

ავტონომიური რესპუბლიკები, ზონები, რაიონები	სულ გამოსაყოფი ფართობი	მათ შორის	
		რაიონის ცენტრისა და დაბების მცხოვრებთათვის	რესპუბლიკური ქალაქების მცხოვრებთათვის
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა — სულ	4230	3240	990
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა — სულ	1510	1215	295
ქალაქ ტყიბულის ზონა	525	400	125
ქალაქ წყალტუბოს ზონა	1370	300	1070
ქალაქ ჭიათურის ზონა	350	270	80
აბაშის რაიონი	460	120	340
ადიგენის რაიონი	110	50	60
ამბროლაურის რაიონი	710	145	565
ასპინძის რაიონი	80	55	25
ახალგორის რაიონი	620	170	450
ახალქალაქის რაიონი	390	40	350
ახალციხის რაიონი	570	400	170
ახმეტის რაიონი	1370	500	870
ბაღდათის რაიონი	550	270	280
ბოლნისის რაიონი	4020	170	3850
ბორჯომის რაიონი	460	260	200
გარდაბნის რაიონი	6590	90	6500
გორის რაიონი	2850	900	1950
გურჯაანის რაიონი	2670	750	1920
დედოფლისწყაროს რაიონი	1390	600	790
დმანისის რაიონი	400	170	230
დუშეთის რაიონი	1780	330	1450
ვანის რაიონი	870	500	370
ზესტაფონის რაიონი	1100	350	750
ზუგდიდის რაიონი	3500	2000	1500
თელავის რაიონი	2430	1100	1330
თერჯოლის რაიონი	590	220	370
თეთრი წყაროს რაიონი	1660	130	1530
თიანეთის რაიონი	1465	750	715
კასპის რაიონი	2280	500	1780
ლაგოდეხის რაიონი	520	200	320
ლანჩხუთის რაიონი	1300	800	500
ლენტეხის რაიონი	70	50	20
მარნეულის რაიონი	5870	120	5750
მარტვილის რაიონი	670	200	470
მესტიის რაიონი	205	150	55
მცხეთის რაიონი	350	320	30
ნინოწმინდის რაიონი	960	20	940
ონის რაიონი	280	30	250
ოზურგეთის რაიონი	1590	590	1000
საგარეჯოს რაიონი	2280	500	1780
სამტრედიის რაიონი	2675	1900	775
საჩხერის რაიონი	500	250	250
სენაკის რაიონი	2340	1200	1140
სიღნაღის რაიონი	2080	130	1950
ქარელის რაიონი	1060	600	460
ყაზბეგის რაიონი	120	100	20
ყვარლის რაიონი	1180	600	580
ჩოხატაურის რაიონი	540	300	240
ჩხოროწყუს რაიონი	580	250	330
ცაგერის რაიონი	490	130	360
წალკის რაიონი	1030	50	980
წალენჯიხის რაიონი	780	500	280
ხარაგაულის რაიონი	490	180	310
ხაშურის რაიონი	1900	1000	900
ხობის რაიონი	2190	300	1890
ხონის რაიონი	1170	350	820
სულ	80820	27315	53505

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველი
ბ. ბერიძე

ავთანდილ მარგიანი:

დიალოგი კონსტრუქციული გამოვიდა

თბილისში დაბრუნდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის მეთაურობით, რომელმაც 25 იანვარს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის რესპუბლიკაში მყოფ წარმომადგენელთა შუამავლობით ცხინვალში გამართა მოლაპარაკება ოსურ მხარესთან.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ავთანდილ მარგიანმა მაღალი შეფასება მისცა საშუამავლო როლს, რომელიც შეასრულა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიამ ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში და აღნიშნა, რომ იგი მეტად კონსტრუქციულად უძღვება მის წინაშე დასახულ ამოცანებს. ავთანდილ მარგიანმა თქვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს საქმე ეხებოდა კონფლიქტის ზონაში აღდგენით სამუშაოებს. გაიმართა კონსულტაციები, რომლებმაც ხელი შეუწყო ცალკეულ საკითხებში პოზიციების გარკვევას. როგორც ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, მანამდე საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს ვრცელი დადგენილება იმის შესახებ, რომ ცხინვალის რეგიონს ყოველმხრივ გაეწიოს დახმარება სამწლიანი კონფლიქტის დროს დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღდგენაში. კერძოდ, საქართველოს მთავრობა ამ მიზნებისათვის გამოყოფს 500 მილიონ მანეთს. საგულისხმოა, ხაზგასმით აღნიშნა ავთანდილ მარგიანმა, რომ ოსური მხარე მზად არის ჩაებას აღსადგენ ღონისძიებათა ამ სისტემაში. გამართული მოლაპარაკების შედეგად, თქვა მან, შეიქმნა ლტოლვილების საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საფინანსო-ეკონომიკური ერთობლივი კომისიები.

ავთანდილ მარგიანმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მოლაპარაკების დროს განიხილეს მხოლოდ ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური აღორძინების საკითხები, არ შეხებიან პოლიტიკურ ასპექტებს, მაგრამ საერთოდ, როგორც მან თქვა, დიალოგი კონსტრუქციული და სასარგებლო გამოვიდა. დასახულია, რომ მორიგი შეხვედრა ცხინვალში მოეწყობა ხუთშაბათს, 28 იანვარს.

ხორბლის რეზერვი ჯერ კიდევ არ ამოწურულა...

მოსკოვის საერთაშორისო ტენდერ ცენტრის ვიცე-პრეზიდენტის დავით ფირცხალავას წერილის განხილვით დაიწყო მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის სხდომა.

წერილში ჩვენი თანამემამულე გვატყობინებს, რომ ყაზახ კოლეგებთან მიღწეულია მორიგება ბარტერული გაცვლისა და საქართველოში 50 ათასი ტონა ხორბლის მოწოდების დაწყების შესახებ. წერილში ნათქვამია, რომ მზად არიან შეისყიდონ და წლის განმავლობაში რესპუბლიკაში გამოგზავნონ 50 ათასი ტონა ხორბალი ჩვენთვის ხელსაყრელი ფასებით.

კომისიამ, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ავთანდილ მარგიანი მეთაურობს, დაავალა შესაბამის ორგანიზაციებს უზრუნველყონ საჭირო სახსრების გადარიცხვა, პურპროდუქტების რესპუბლიკურ სახელმწიფო კორპორაციას კი — ამის თაობაზე გააფორმოს ხელშეკრულება. ახლა მიმდინარეობს შინაგანი რეზერვების გამოვლენაც. მაგალითად, ციკავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რეალურია კახეთში ორი ათასი ტონა ხორბლის, დასავლეთ საქართველოში კი — სამი ათასი ტონა სიმინდის შესყიდვა.

სხდომის მონაწილეებმა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რაოდენ საჭიროა კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში შემოზიდული მარცვლეულის, შაქრის განტვირთვის დაჩქარებისათვის. უკვე არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მოსახლეობა დიდი ხანია ელის ამ პირველი საჭიროების პროდუქტებს. ვითარებას ართულებს ისიც, რომ შესაძლებელია დაგვეკისროს ჯარიმების გადახდა ვალუტით უცხოური გემების ზენორმატიული მოცდენის გამო. არსებულ სირთულეთა აღმოფხვრის, სამუშაო პროცესების სრულყოფის მიზნით გადაწყდა ოპერატიულად ადგილებზე გაგზავნონ გამოცდილი ხელმძღვანელების სპეციალისტების ჯგუფი.

კომისიამ დასახა უფრო ქმედითი კონტროლის, ქვეყანაში სურსათის შემოტანისა და მისი გატანის რეალური სტატისტიკის დაწესების, სამრეწველო ცენტრებში ფქვილის, კარტოფილის, კვერცხის, კვების სხვა პროდუქტების მიწოდებით გადიდების ღონისძიებანი.

საქინფორმი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გენერალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი მოსკოვში

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი რუსეთში ჩავიდა თავდაცვის მინისტრის გენერალი პაველ გრაჩოვის მიწვევით. იგი მოლაპარაკებას გამართავს პაველ გრაჩოვთან და სხვა მაღალი რანგის სამხედრო პირებთან. ეწვევა სანქტ-პეტერბურგს და მოინახულებს სამხედრო საზღვაო ბაზას. დაგეგმილია მისი შეხვედრა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ზოგიერთ წარმომადგენელთან. გენერალი გამოვა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში. რადიოსადგური თავისუფლება აღნიშნავს, რომ შალიკაშვილმა გამგზავრების წინ განაცხადა, რომ ნატო დაინტერესებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სტაბილურობით. აღნიშნავენ, რომ ცივი ომის დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვნად იცვლება ნატოს ამოცანები.

სატელეფონო საუბარი

ამერიკის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ინიციატივით გაიმართა სატელეფონო საუბარი უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კრავჩუკთან. პრეზიდენტი კლინტონი შეპირდა უკრაინის პრეზიდენტს, რომ გამოუყოფს 175 მილიონ დოლარს ბირთვული იარაღის დემონტაჟისათვის. უკრაინის უზენაესი საბჭო აპირებს განიხილოს სტრატეგიული შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის პირველი ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი, რაშიც დიდ დაინტერესებას იჩენს ოფიციალური ვაშინგტონი.

არჩევნები ჩეხეთსა და სლოვაკეთში

გუშინ გაიმართა ჩეხეთსა და სლოვაკეთის პრეზიდენტების არჩევნები. ჩეხეთის პრეზიდენტად აირჩიეს მისი ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, რომელმაც ხმების უმრავლესობა მიიღო. სლოვაკეთში არჩევნების მეორე ტური ჩატარდება, ვინაიდან პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატიდან ვერც ერთმა ვერ შეაგროვა ხმების სამი მეხუთედი. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს ორი კანდიდატი — მმართველი პარტიის წარმომადგენელი, პრემიერ-მინისტრის ახლანდელი მოადგილე კოვაჩი და მემარცხენე დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელი სტაჩნიკი.

დანიშნულია სასამართლო პროცესი

რუსეთის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი უკოლოვმა გამოაცხადა, რომ „გკჩპ"-ს საქმის სასამართლო პროცესი დანიშნულია 14 აპრილისათვის. ერთდროულად გადაწყდა გაანთავისუფლონ (ხელწერილით, რომ არსად არ გაემგზავრებიან), აგვისტოს პუტჩის ორგანიზატორები, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან. მხედველობაშია მიღებული მათი ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოსკოვში ღია პროცესი გაიმართება. ბრალდებულთა ინტერესებს 21 ადვოკატი დაიცავს.

სამეგრელოს საკითხების კომისია მუშაობას იწყებს

ვითხოვ სიტყვას!

ჩემთვის გასაგებია ხალხის გარკვეული ნაწილის ფრთხილი დამოკიდებულება და ეჭვი სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის მიმართ, რაც ნაწილობრივ გამოიხატა კიდეც ამასწინათ ზუგდიდში გამართულ მიტინგზე.

დღეს ადამიანებს იმდენად აქვთ დაკარგული რწმენა, იმდენჯერ არიან მოტყუებულნი, რომ ნდობის დეფიციტი გაუჩნდათ, არადა, ამის საფუძველი ნამდვილად არსებობს. დარწმუნებული ვარ, რომ სამეგრელოსთან ერთად, საქართველოს მთელ მოსახლეობას აინტერესებს, შეძლებს თუ არა კომისია ბოლომდე ობიექტური დარჩეს და ვინმეს ან გარკვეული ძალების ზეგავლენის ქვეშ არ მოექცეს. ასეთი ეჭვები უსაფუძვლო როდია, ამიტომ გასაკვირი არ იქნება, რომ იმ ძალებმა, ვისაც ხელს არ აძლევს აღნიშნულ რეგიონში მშვიდობის დამყარება, ხელი შეუშალონ კომისიას და პროვოკაციაც კი მოუწყონ.

სამეგრელო დღეს მთელი საქართველოს სატკივარია. ამიტომაც პარლამენტმა თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი საინიციატივო ჯგუფის წინადადებას, შექმნილიყო ზემოაღნიშნული კომისია.

საგულისხმოა ისიც, რომ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს იმ დეპუტატებმაც, ვინც თავის დროზე არასწორი ინფორმაციისა თუ სხვა მიზეზების გამო, შესაძლოა, სწორად ვერ აღიქვა სამეგრელოში შექმნილი ვითარება და ახლა სურს, თავად გაერკვეს ყველაფერში. ალბათ ერთგვარი უნდობლობა კომისიისადმი ამ ფაქტორმაც განაპირობა.

კომისიის ძირითადი მიზნები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ დებულებაში იყო ჩამოყალიბებული, გადაიცა ტელევიზიით. კომისიაში 40-ზე მეტი წევრია. განზრახული გვაქვს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიოთ საზოგადოების წარმომადგენლები და ამ მხრივ შეძლებისდაგვარად გავითვალისწინოთ მოსახლეობისა და კერძოდ ზუგდიდელ მომიტინგეთა რეკომენდაციებიც.

ახლა მთავარია, განვიმსჭვალოთ ურთიერთნდობით და შევუდგეთ საქმეს. ყველას გთხოვთ, ვისაც რაიმე ინფორმაცია აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოგვაწოდოს, ინფორმაციის მოწოდების წესი და კომისიის სრული შემადგენლობა გამოქვეყნდება.

იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა, შესაბამისი უწყებები და ორგანიზაციები ხელს შეუწყობენ და დაეხმარებიან კომისიას, რათა პარლამენტსა და საზოგადოებას მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია.

სამეგრელოს რეგიონში უნდა აღსდგეს წესრიგი და სამართლიანობა, დამყარდეს მშვიდობა, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია, ხალხმა უნდა მოიშუშოს ჭრილობები, მოინელოს მიყენებული მორალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური შეურაცხყოფა, რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ დანაკარგებზე. ყველაფერი ეს კი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი ობიექტური, გულისხმიერი რეაგირება მოჰყვება კომისიის დასკვნებს ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრივ. დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ერის გამთლიანება საზოგადოებრივი პოლიტიკური ძალების, საქართველოს მთელი მოსახლეობის კონსოლიდაცია.

ამ ეტაპზე სამეგრელო სწორედ ის რგოლია, რომელსაც შეუძლია გაამთელოს საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის თითქმის გაღეული ჯაჭვი.

ვსარგებლობ შემთხვევით და მოვუწოდებ ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას: ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო და ერის ინტერესები, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა, ურთიერთწყენისა და პირადი შეუთავსებლობისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ერთად დავდგეთ ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ერთად დავამყაროთ წესრიგი, მივაღწიოთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილიზაციას. არც ის დავივიწყოთ, რომ ქვეყნის ძლიერება ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკურ ძლიერებაზე. მაგრამ ნუ ვიქნებით ხელგაწვდილნი, მხოლოდ უცხოეთის წყალობის იმედად. ვიშრომოთ და თავად შევქმნათ დოვლათი.

ამირან ნადარაია,
სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

„იბერია" გვატყობინებს

ვლადისლავ არძინბას ორეული

ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა „იბერიის" კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „ოსტანკინოს" მიერ გადმოცემულ ინტერვიუში ვ. არძინბას ნაცვლად კადრში იყო მისი ორეული. თ. ნადარეიშვილი ამტკიცებს, რომ ორეულის მანერები არ ჰგავდა არძინბას მანერებს. იგი პირადად იცნობს არძინბას და ამდენად, ამის მტკიცების საფუძველი გააჩნია.

თ. ნადარეიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ აფხაზთა მხარე უახლოეს მომავალში აპირებს დიდ შეტევას სოხუმზე.

შეხვედრა ანკარაში

თბილისი. 18 იანვარს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, რესპუბლიკის იუნესკოს თავმჯდომარის, პეტრე მეტრეველის მეთაურობით იმყოფებოდა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. როგორც პ. მეტრეველმა „იბერიის" კორესპონდენტს აცნობა, საქართველოს დელეგაცია შეხვდა თურქეთის ეროვნულ კომისიას, შედგა ოქმი, რომელიც ხელშეკრულების პროექტს წარმოადგენს. თურქეთის დელეგაცია საპასუხო ვიზიტით ამა წლის მაის-ივნისის თვეში ჩამოვა თბილისში. თურქეთიდან გამოგზავნილი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალები გადაეგზავნება შესაბამის ინსტიტუტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეირანი

მეგობარი ქალაქია

რევაზ ჯაფარიძე

საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტი.

საუკუნეთა გადასახედიდან



ცხრამეტი იანვარი 1998 წლისა... ეს თარიღი სამუდამოდ აღიბეჭდება საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი დღე, რომელიც კი ოდესმე, ამ ორნახევარი ათასი და მეტი წლის მანძილზე გასთენებია ქართველობას.

ამ დღეს, დილაადრიან თბილისის აეროპორტზე აფრინდა ეროვნული ავიაკომპანია „ორბის" რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი და გეზი ირანის სატახტო ქალაქ თეირანისაკენ აიღო. თვითმფრინავს, რომელსაც ქართული ეკიპაჟი მართავდა, ირანში მიჰყავდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის თავკაცობით.

გამგზავრების მიზანი ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება იყო. სამშვიდობო მისიის წამომწყები ირანის მხარე გახლდათ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ოფიციალური ვიზიტით მიიწვია ირანის პრეზიდენტმა და აი, ჩვენ ყველა, ვინც მშობლიურ თვითმფრინავში ვისხედით და მთებითა და ხეობებით დაღარულ, უტეხი თოვლით გადაპენტილ დედამიწას 11 კილომეტრის სიმაღლიდან დავცქეროდით, მოუთმენლად მოველოდით ისტორიული წუთის დადგომას.

დელეგაცია არცთუ მცირერიცხოვანი იყო. აქ ბრძანდებოდნენ რესპუბლიკის მინისტრები, რომელთაც ხელი უნდა მოეწერათ ორმხრივ შეთანხმებებზე თავიანთ ირანელ კოლეგებთან ერთად და საფუძველი ჩაეყარათ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მომავალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისათვის.

ერთი კვირით ადრე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, თეირანში ჩავიდნენ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მუშაკებთან ერთად და ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების განხილვას და ხელშეკრულებათა პროექტების შედგენას შეუდგნენ. საზეიმო ვითარებაში ამ სამთავრობო დოკუმენტებზე ხელის მოწერა წინასწარ ჩატარებულ მუშაობას დააგვირგვინებდა და თითოეული მათგანის შესრულებას ორივე სახელმწიფოსათვის სავალდებულოდ გახდიდა.

პირველი არაოფიციალური მოლაპარაკება ირანის სამთავრობო წრეებთან, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ჩვენს სახელოვან მეცნიერს, თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს მოუხდა, რომელიც ამ ორი წლის წინათ სამეცნიერო მივლინებით თეირანში იმყოფებოდა.

იმ დროს, ისევე როგორც დღესაც, საქართველო საწვავი აირის დიდ ნაკლებობას განიცდიდა და საქართველოს მთავრობის დავალებით ბატონ თამაზს წინადადება მიეცა, გამოეყენებინა თავისი სამეცნიერო მივლინება, აგრეთვე პირადი ავტორიტეტი და მოესინჯა ნიადაგი სპარსეთის მმართველ წრეებში საქართველოსათვის საწვავი აირის მიწოდების თაობაზე.

ცნობილია, რომ იმ დრომდე, სანამ ირანში სახელმწიფო გადატრიალება მოხდებოდა და შაჰის მონარქიას აიათოლა ხომეინის მიერ შექმნილი ისლამური რესპუბლიკა შეცვლიდა, საქართველო, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილი, ირანისაგან აირს ღებულობდა. შემდეგ ირანმა აირის მიწოდება შეწყვიტა და შეწყვიტა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე რეგიონებთან, არამედ სხვა მეზობლებთანაც, რამაც ისლამური რესპუბლიკის თვითიზოლაცია და აირის მარაგის ჭარბი დაგროვება გამოიწვია. საქმეში ჩახედული ეკონომისტების რჩევით ირანის მთავრობამ მაშინ ახალ ღონისძიებას მიმართა: ხელი მიჰყო აირსადენი მაგისტრალების გაყვანას ქვეყნის შიგნით და მთელი მრეწველობა და ელექტროენერგიის მოპოვება სააირო რეჟიმზე გადაიყვანა, რაც უდიდეს ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც აირმომპოვებელი საბადოები არა ქვეყნის რომელიმე ცენტრალურ რაიონში, არამედ მის უკიდურეს ჩრდილოეთში, თურქმენეთის საზღვართან და უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში — სპარსეთის ყურეშია განლაგებული.

მალე ირანის ეკონომიკამ გადალახა ეს დიდი სიძნელე და საქმე ისე მოაწყო, რომ ქვეყანას აირის ახალი საბადოების მოპოვებისათვის მუშაობის დაწყება მოუხდა.

ამგვარ დაძაბულ ვითარებაში ბატონ თამაზს გაუძნელდა რაიმე წარმატების მიღწევა, თუმცა ირანის მხარე აირის მოცემაზე გადაჭრილ უარს არ ამბობდა, მაგრამ თავის საქონელს ჩვენი გაღატაკებული ეკონომიკისათვის მიუწვდომელ უზარმაზარ ფასს ადებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ იმავე მიზნით ირანს ეწვია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა. სამწუხაროდ, ირანის მხარემ ამჯერადაც მეტისმეტი სიმტკიცე გამოიჩინა, ნაღდი ფულით, რაღა თქმა უნდა, უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება მოითხოვა და პირველად გამოცხადებულ საფასურს ერთი დოლარიც არ დაუკლო.

ბატონი თამაზი, რომელიც წინადღეს გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც ინდოევროპელი ერების გენეზისის თაობაზე შექმნილი მისი მსოფლიოში გახმაურებული ნაშრომის გამოცემაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, და მე გვერდიგვერდ ვიჯექით თვითმფრინავის სალონში და ილუმინატორიდან თოვლით დაფარულ მთებს გავყურებდით.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ უდაბნოების ქვეყანა სპარსეთი, იგივე ირანი, ასე მთაგორიანი იყო და ზამთრობით ასე დიდი თოვლის საფარით იფარებოდა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, უხვთოვლიანობა ამ ვეებერთელა ქვეყნის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილს ახასიათებს, რომლის თავზეც ამჟამად მივფრინავდით, ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი კი ზამთარ-ზაფხულ უთოვლოა, თუმცა ზამთრობით სიცივე იქაც გვარიანი იცის.

ეს საკითხი ჩემთვის, მწერლისათვის, ინტერესმოკლებული სულაც არ გახლავთ. დაინტერესებულმა მკითხველმა, ვისაც წიგნის კითხვაზე ხელი ჯერ კიდევ არ აუღია, იცის, რომ უკანასკნელ წლებში მე დიდ ტილოზე ვმუშაობ, რომელიც ქეთევან დედოფალსა და მის ტრაგიკულ დროს ეძღვნება.

სპარსეთის სატახტო ქალაქი, სადაც ყიზილბაშმა მებადრაგეებმა ტყვექმნილი დედოფალი და მძევლებად წამოსხმული მისი მცირეწლოვანი შვილიშვილები ლევანი და ალექსანდრე ჩაიყვანეს, მაშინ ისპაჰანი იყო, მაშინდელი დიპლომატებისა და მოგზაურების მოწმობით მსოფლიოს ერთ-ერთი უმშვენიერესი, მდიდარი და ხალხმრავალი ქალაქი. იქამდე თეირანიდან მეტი მანძილია, ვიდრე თბილისიდან თეირანამდე. ხოლო, შირაზი — ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხან უნდილაძის საბრძანებლო ქალაქი, სადაც 1624 წლის 13 სექტემბერს ქრისტეს მცნებისა და სამშობლოს ერთგული ქეთევანი წამებით აღესრულა, კიდევ უფრო სამხრეთითაა. ასე რომ, რეაქტიული თვითმფრინავით ამ მანძილის დაფარვას ორგზის და სამგზის მეტი მანძილის დაფარვა დასჭირდება, ვიდრე საქართველოდან მომავალთ დღეს მოგვიწევს.

ამით მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ირანი, სხვაგვარად სპარსეთი, თვალუწვდენელი ქვეყანაა. შირაზიდან მის სამხრეთ საზღვრამდე ოროოდე საათის საფრენი კიდევ იქნება, ხოლო ქურთისტანის მთებიდან ვიდრე ავღანისტანამდე ქვეყნის სიგრძე სიგანეს არ ჩამოუვარდება!

აი, ვის პირისპირ იდგა ისტორიული საქართველო, აი, ვის წინააღმდეგ გადაიხადა ჯერ წიწამურის, შემდეგ მარტყოფის ომი, ვინ სძლია მარაბდასთან, თუმცა გამცემლობამ და ღალატმა ბოლოს თავისი მაინც გაიტანა; და ვის ემსხვერპლა კრწანისის ომში 1795 წელს და რად გახდა იძულებული თავისი ბედი კიდევ უფრო საშიში ჩრდილოელი მეზობლისათვის მიენდო.

ირანის მბრძანებლები ხშირად იცვლიდნენ სატახტო ქალაქებს. ეს პატივი ქვეყნის არა ერთ დიდ ქალაქს ერგო. მათ შორისაა ყაზვინი, თავრიზი, ისპაჰანი და თეირანი.

ილუმინატორიდან ბევრი ვეძებე ურმიის ტბა, რომლის ნაპირებთან 1603 წელს შაჰ-აბასის 60 ათასიანმა არმიამ, რომლის შემადგენლობაშიაც ქართლის მეფე გიორგისა და კახთბატონ ალექსანდრეს ჯარებიც იბრძოდნენ, ოსმალთა 100 ათასიანი არმია დაამარცხა, მაგრამ თვალი ვერსად მოვლანდე. ეტყობა, ის სამხრეთ-დასავლეთით დარჩა, ჩვენ კი აღმოსავლეთისაკენ მივაპობდით სივრცეს, კიდევ უფრო მაღალი მთების თავზე, რომელთა გადაღმაც, ჩრდილოეთში, კასპიის ზღვა და შაჰ-აბასის საყვარელი სანადირო ადგილები მაზანდერანი მეგულებოდა. ნადირობ-ნადირობით სწორედ აქამდე გამოიტყუა შაჰ-აბასმა ცოლისძმა ლუარსაბ მეფე, რომელმაც კახეთიდან შემოსულ მძვინვარე სიძეს შებმა ვერ გაუბედა და უკუქცეულმა თავი იმერეთს შეაფარა, აქ შესთავაზა გამაჰმადიანება და როდესაც გადაჭრილი უარი მიიღო, ხელ-ფეხში ბორკილებგაყრილი გულაბის ციხის კაზემატში ჩასაკეტად შირაზს გაგზავნა, სადაც 1620 წელს მისივე ბრძანებით [illegible] საბლით მოაშთვეს.

სამშობლოს წარსუ[illegible] ღრმად ჩახედულ კაცს თავში სხვ[illegible] გიტრიალებდეს, როდესაც იმავე თვ[illegible] სალონში ზიხარ, რომელსაც უკიდეგანო ირანის უზენაეს მბრძანებელთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად დამოუკიდებელი საქართველოს მეთაური და სამთავრობო დელეგაცია მიჰყავს! ეს მეთაური უსათუოდ შენ თვითონ უნდა იყო, რომ იგრძნო ამ წუთების მთელი სიდიადე? შენი სამშობლო დღეს თავისუფალია! იქნებ ეს ვისმე ეცოტავება?! ამაოდ ნურავინ შეეცდება, ვინმე დაარწმუნოს, რომ თუნდაც ორი-სამი წლის წინათ შეეძლო წარმოედგინა, ეწინასწარმეტყველა ეს ამბავი. თუ შენ შენი სამშობლოს მართლა ერთგული შვილი ხარ, შეიძლება იმისდამიხედვით იმსჯელო, ვის რომელი ხელისუფალი უყვარს და საქართველოს აწმყო და მომავალი შენი ემოციური დამოკიდებულებით შეაფასო? საკუთარი გრძნობების აყოლა შორს ვერ წაგიყვანს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სასწორზე სამშობლოს ბედიღბალი დევს!

ამას რომ ვწერ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მახსენდება, ოღონდ ამჯერად საქართველოს უახლესი ისტორიიდან.

იდგა მარტი 1921 წლისა. სატახტო ქალაქიდან იძულებით გამოხიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უკვე ბათუმში იმყოფებოდა და უცხოეთში გადასახვეწად ის იყო გემზე ადიოდა. ბრესტის ზავის შესაბამისი მუხლის თანახმად ქალაქში თურქი ასკერები შემოვიდნენ და მთელ აჭარასთან ერთად მისი ყველა სიმაგრე დაიკავეს. საქართველო ახლა უკვე სამუდამოდ ჰკარგავდა თავის მშვენიერ ბათუმს და სამშობლოს გაუტეხელ ციხესიმაგრე აჭარას. ამას ხედავდნენ ქვეყნის მესვეურები, რომლებიც სამშობლოს დამპყრობლის უხეში ძალის მოწოლის გამო ტოვებდნენ და ხედავდნენ ისინიც, ვინც მოდიოდა და დედაქალაქ თბილისში დამპყრობლის დროშა აატრიალა. ორივენი ქართველები იყვნენ, რევკომის თავმჯდომარე ორახელაშვილიც და პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლორთქიფანიძეც. ორივენი პასუხს აგებდნენ ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე. ისინი, შეურიგებელი მოწინააღმდეგენი, პირდაპირი მავთულით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რადგანაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა უბრად დაშორება, ამბიციის აყოლა, სამშობლოს დაღუპავდა და მათ, არც ერთსა და არც მეორეს, რომელი პარტიის წევრებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ღვთისა და ქვეყნის წინაშე ამის მორალური უფლება არ ჰქონდა!

რადგანაც საქართველოს დამპყრობი მე-11 არმია რუსეთის არმია იყო, რომელმაც მეომარ მხარესთან, თურქეთთან, ბრესტში ზავი დადო და აჭარა-შავშეთი ბათუმითურთ, თურქეთის კანონიერ ნაწილად ცნო და ამით ქართველი ერის წინაშე უდიდესი დანაშაული ჩაიდინა, უკვე აღარ შეეძლო საერთაშორისო კანონები დაერღვია და თურქი დამპყრობლები აჭარა-შავშეთიდან გაედევნა. გამოინახა ერთადერთი გამოსავალი: ბათუმი და მისი ოლქი ასკერებისაგან უნდა გაეწმინდა დამარცხებული არმიის ჯარს, იგი გამარჯვებულისათვის გადაეცა და, როგორც სამხედრო შენაერთს, არსებობა მხოლოდ ამის შემდეგ შეეწყვიტა.

მაგრამ საქართველოს არმიის გასვლისა და მე-11 არმიის შემოსვლის დროის მონაკვეთში თურქ ასკერებს ხომ შეეძლოთ, დაკარგული პოზიციები ისევ დაეკავებინათ და რუსეთის არმიის პირისპირ მდგომთ მისთვის კვლავ გამოუვალი მდგომარეობა შეექმნათ!

ეს რომ არ მომხდარიყო, ბათუმში მყოფ საქართველოს მთავრობას მოწინააღმდეგისათვის უნდა მიეწოდებინა სარკინიგზო ეშელონები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში დაგროვდა, რათა შიგ მე-11 არმია ჩაბარგებულიყო და ბათუმი მაშინ დაეჭირა, როდესაც საქართველოს ჯარის ქვედანაყოფები ქალაქის საპირისპირო გარეუბანს დატოვებდნენ.

ბათუმი აიღო გენერალმა მაზნიაშვილმა, მართლაც ლეგენდარულმა გმირმა, და გადასცა იგი რუსეთის რწმუნებულს სერგო ქავთარაძეს, რომელიც სხვა ბოლშევიკებთან ერთად იქ ციხეში იჯდა.

ასე გადაურჩა ბათუმი და მთელი აჭარა. სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ პარტიულ მოწინააღმდეგეებს, ქართველებს, ერთი ერისა და ქვეყნის შვილებს, ყველაზე უფრო დრამატულ წუთებში ეყოთ გონიერება, თავიანთი პარტიული ამბიციები უკანა პლანზე გადაეტანათ და წმიდათა-წმიდა სამშობლოს ხატის წინაშე ერთად დაეჩოქათ!

უნიკალური შემთხვევაა. მსგავსი შემთხვევა მე არ შემხვედრია რომელიმე სხვა ხალხის ისტორიაში, რომელსაც კი ვიცნობ.

ვგონებ არავის უნდა გაუკვირდეს, თუ თეირანის აეროდრომზე დაშვებისას მე ეს ისტორიული ფაქტი გამახსენდა და ფიქრი ამეკვიატა.

სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ თეირანი რვამილიონიანი ქალაქი ყოფილა. მოკლე დროში ის ოთხი მილიონით გაზრდილა. თანამედროვე ქალაქებთან ერთად თეირანის მოსახლეობა ამჟამად 16 მილიონს შეადგენს. ეს მეტია, ვიდრე ლონდონის, ტოკიოს და სხვა დიდი სატახტო ქალაქების მოსახლეობის რიცხვი და მხოლოდ მეხიკოს და სან-პაულოს ჩამორჩება.

ამუშავდნენ კინოკამერები, აჭკაპუნდნენ ფოტოაპარატები. თვითმფრინავმა თვლები გამოუშვა, სამუხრუჭე ფრთები მოიეცა. ძირს უკვე ციმციმებდნენ წითელი და მწვანე ნათურები, თვითმფრინავს დასაჯდომ ზოლს აჩვენებდნენ. აი, აეროპორტის თეთრი შენობაც! კვადრატებად დაწყობილი ორკესტრი და საპატიო ყარაული. თვლები ბეტონს შეეხო და მძიმე თვითმფრინავი ძრავების გრიალით ასაფრენ ბილიკზე გასრიალდა. საიდანღაც პოლიციის საპატრულო მანქანა გაჩნდა და სასიგნალო ნათურების ციმციმით ხომალდს წინ გაუძღვა. რამდენჯერმე მიეუხვეული და ბოლოს თეთრად მოქათქათე აეროპორტის წინ გაჩერდა, სადაც დამხვდურთა კარგა მოზრდილი ჯგუფი, ორკესტრი და საპატიო ყარაული გველოდებოდა.

თვითმფრინავს გაჩერების უმალვე მოაწყდნენ კამერამომარჯვებული ტელე და ფოტოჟურნალისტები. მათ არც ჩამოსული ჟურნალისტები ჩამორჩნენ და ტრაპი სხვა მგზავრებზე ადრე ჩაირბინეს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს თეთრებში გამოწყობილი ირანის პრეზიდენტი ტრაპთანვე მოეგება და სამგზის გადაკოცნა. გაისმა მხედრული ბრძანება. საპატიო ყარაულმა ფეხის ტერფთან მიდგმული შაშხანები აიტაცა და პირისახის წინ შვეულად დაიკავა. რუსულად ამას „ნა კრაულ" ეწოდება. ქართულად ჯერ შესაბამისი ტერმინი არა გვაქვს. გარინდულ სიჩუმეში ორკესტრი შეხვედრის მარშს უკრავდა. საქართველოს მეთაური ამ დროს აეროდრომზე მის შესახვედრად მოსულ მთავრობის წევრებს და ირანის პრეზიდენტთან აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს ხელს ართმევდა.

აეროპორტის შენობამდე, რომელზედაც ორი სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებს მოუხდებოდათ გავლა, ხალიჩების ზოლით იყო მოფენილი. ისინი გაჰყვნენ ალისფერი ხალიჩების ბილიკს. თეთრჩალმიანი, თეთრმოსასხამიანი პრეზიდენტი რაფსანჯანი, როგორც მასპინძლობის წესი მოითხოვდა, ოდნავ უკან ჩამორჩა სტუმარს. ისინი შედგნენ საგანგებოდ გამართულ ფანჩატურში და მზერა მათ წინაშე გაშლილ საპატიო ყარაულს მიაპყრეს. მარჯვნივ და მარცხნივ, შესაბამისად, ქარი საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის დროშებს ატკაცუნებდა. ეს დაწყვილებული დროშები შემდეგ მთელ გზაზე გვხვდებოდა, როდესაც საპატიო ესკორტის თანხლებით გალაპლაპებულ ლიმუზინებში ორ-ორად განაწილებული სამთავრობო დელეგაცია და სახელმწიფოს მეთაური თავისი რეზიდენციისაკენ მიემართებოდა.

ორკესტრმა დასჭექა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. ეს პირველია საქართველოს ისტორიაში! საალუმოდ ჩაცმულმა ირანელმა ოფიცრებმა, თითქმის უძირო თეთრი ბათინკები რომ აცვიათ, ხმლები იშიშვლეს და გაქვავდნენ. შეგუბდა სული. აღტაცების ცრემლი ქუთუთოებს მოაწვა და თვალები დაბერა. გაუნძრევლად იდგა თავჩალმიანი პრეზიდენტი და მოწიწებით ისმენდა მეზობელი სახელმწიფოს ჰიმნის ჟრუანტელის მომგვრელ ბგერებს და მასთან ერთად ისმენდა მთელი ირანი აზერბაიჯანიდან ბელუჯისტანამდე, ქურთისტანის მწვერვალებიდან ავღანისტანის მთებამდე, რადგანაც შეხვედრის ეს ცერემონიალი რადიოთი და ტელევიზიით გადაიცემოდა.

დასრულდა საქართველოს ჰიმნი და ჰაერი ახლა ირანის ჰიმნმა შეარხია. ის მეტად კეთილხმოვანი და ნატიფია, როგორც სპარსული მინიატურა, ორკესტრთან ერთად კაპელა ასრულებს და ქვეყანაში კეთილი გულით მოსულს ყელამდე სიხარულით გავსებს.

დადგა კიდევ უფრო საზეიმო წუთი. ყარაულთან ზურგით მდგარმა უფროსმა ოფიცერმა შიშველი ხმალი მკლავზე გადაიწვინა, სამხედრო ნაბიჯით, ისე რომ ფეხის წვერი თითქმის ცხვირამდე მიჰქონდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ხუთიოდე ნაბიჯზე მიეახლა და მჭექარე, მკაფიო ხმით საკმაოდ გრძელი მხედრული პატაკი მისცა.

ამის შემდეგ ორივე სახელმწიფოს მეთაური ფიცარნაგიდან ჩამოვიდა და ხმალამოშიშვლებული ოფიცრის თანხლებით იმ დროშის წინაშე თავის დასახრელად გაემართა, რომელიც ბევრჯერ შეღებილა ქართველ მამულიშვილთა სისხლით, დღეს კი იგივე ქართველებისათვის პატივის მისაგებად აქ გამოებრძანებინათ და აღემართათ.

იქნებ ზოგ მკითხველს გაუკვირდეს, რად აღვწერ ასე დაწვრილებით შეხვედრის ცერემონიალს, რომელიც არა ერთხელ გვინახავს ტელევიზიით თუ ცხადად და თითქმის ზეპირადაც ვიცით, რის შემდეგ რა ხდება. გვინახავს, რასაკვირველია, თანაც არა ერთხელ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ საქართველოს სამფეროვანი დროშა იმ საზეიმო შეხვედრების დროს დღემდე არავის აღუმართავს და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინაშე, მეფე იყო ის თუ რომელიმე სხვა მაღალი თანამდებობის პირი, საპატიო ყარაული არავის ჩაუმწკრივებია. საქართველო ხომ სამი ათას წელიწადს ელოდა ამ დიდებულ წუთს და აი, ეს წუთიც დადგა!

ნურავინ დამძრახავს, თუ ბედნიერი ვარ, რადგანაც ამ დღეს მოვესწარი! საქართველოს დღეს შია, სწყურია, მისი უკეთესი შვილები გარეშე თუ შინაური მტრის ხელით იღუპებიან, ჩვენი საქმეები უახლოეს დღეებში იქნებ ვერც დავალაგოთ და უფროც გაგვიჭირდეს, მაგრამ ჩვენ მაინც ერთ-ერთი ვართ მსოფლიოს თავისუფალ ერთა შორის, აღარავის შეუძლია ჩვენი ეროვნული ღირსების ჩაწიხვლა და ფეხქვეშ გათელვა, რაც მრავალი ასი და ათასი წლის განმავლობაში ხდებოდა!

აი, რამ შეგვძრა ყველა, აი, რის ნიშანი და მომასწავებელი იყო ორი სახელმწიფოს მეთაურების საზეიმო შეხვედრა თეირანის აეროდრომზე და აი, რატომ აღვწერე მე იგი ასე დაწვრილებით და გულის თრთოლვით!

აეროდრომის შენობის უკან, ფართო მოედანზე, ათობით ლიმუზინი და ავტოინსპექციის საპატრულო მანქანა დაგვხვდა. დავიკავეთ თუ არა წინასწარ მოჩენილი ადგილები, კოლონა დიდი სისწრაფით დაიძრა. გზად ერთიც არავინ შეგვხვედრია. შემდეგ გამოირკვა, რომ გზის ამ მონაკვეთზე, ქალაქსა და მის აეროდრომს ერთმანეთთან რომ აკავშირებს, ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილი იყო. სადაგ დღეებში ავტოსტრადის ორივე მხარეს აქ მანქანების ტევა არ არის და სიჩქარეც საკმაოდ შეზღუდულია. ამაში თავადვე დავრწმუნდით, როდესაც შინ მომავალნი კოლონას უცაბედად მოვწყდით და მანქანების მშფოთვარე ზღვაში აღმოვჩნდით. მე შენ გეტყვი, ვინმეს ბენზინი ენანება და ამ მიზეზით მანქანას გარაჟიდან არ გამოიყვანს! მთელს ირანში საწვავის ფანტასტიკური სიიაფეა. 40 ლიტრი ბენზინი ერთ ამერიკულ დოლარად ფასობს, ეს მაშინ, როდესაც შოკოლადის საშუალო ფილის საყიდლად 2 დოლარის გადახდა მოგიხდება.

სამთავრობო დელეგაციას რეზიდენციად ამერიკელების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშენებული ფეშენებლური სასტუმრო „გრანდ-ოტელი" გამოეყო. სასტუმრო თექვსმეტსართულიანია და ჩვენ სწორედ მეთექვსმეტე სართულზე მოვთავსდით. აქედან კარგად მოჩანს ქალაქის პანორამა, ანუ, უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილი.

თეირანს ირგვლივ მაღალი მთების მასივი არტყია და მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან ორი ათას ხუთას მეტრს აღწევს. სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან" მოჩანს უზარმაზარი დათოვლილი მთა, რომლის კალთასაც შეძლებულ მოქალაქეთა უბნები შეჰფენია.

მთის უმაღლესი წერტილი, რომლის უდაბური კალთები ზაფხულობით მთლიანად შიშვლდება, ათასი მეტრის სიმაღლიდან დასცქერის ქალაქს. საპირისპირო მხარეს მრგვალგუმბათიანი მიზგითი და მინარეთია, საიდანაც მუყრის რადიოგალობა ისმის. იქით და იქით, თვით ცის დასალიერამდე, ერთიმეორეზე მჭიდროდ მიჭუჭკული უბნები მოჩანს. რომელიმე ამ უბანში მოხვედრილი კაცი ვერასოდეს ვერ იგრძნობ, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს სატახტო ქალაქში იმყოფები, რომ ეს ქალაქი 12 მილიონ სულს ითვლის, ხოლო თანამგზავრ ქალაქებთან ერთად მისი მოსახლეობის ოდენობა 16 მილიონს აღწევს.

თეირანი ნაუცბათევად აშენებული ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს. საუკუნის დასაწყისში მისი მოსახლეობა მილიონსაც არ აღემატებოდა, მაგრამ შემდეგ მოსახლეობის სწრაფი ზრდის კვალად, როცა შენობათა ხუროთმოძღვრული ფორმების სრულყოფისათვის არავის ეცალა და არც დღისდღეობით სცალია, მან როგორღაც პროვინციული იერი მიიღო.

აქ არაფერი მოგტაცებს თვალს, არაფერი გაგაოცებს, როგორც შაჰ-აბასის მიერ სხვა ერების ხარჯზე აშენებულ ისპაჰანში, სპარსული ხუროთმოძღვრების თავისთავადობით დღესაც რომ განცვიფრებს და თვით რომსა და პარიზსაც კი უწევს მეტოქეობას.

თეირანისათვის არსთა განმრიგეს არც წყალუხვი მდინარე უბოძებია, მსგავსად ზაინდერუდისა, ისპაჰანს რომ ამშვენებს, სასმელი წყლის ნაკლებობა მოსახლეობას მოურჩენელ ჭირად გასჩენია. ირგვლივ მხოლოდ უდაბური მთებია და, თოვლი რომ გადნება, მაცოცხლებელი ნიავის მაგიერ იქიდან დღენიადაგ ხახაგამშრალი უდაბნოს ხორშაკი ქარი უბერავს.

სამი საათისათვის თავი ჰოლში მოვიყარეთ. სასტუმროს წინ უკვე ჩაემწკრივებინათ ლიმუზინები დელეგაციისა და ჟურნალისტთა კორპუსის პრეზიდენტის სასახლეში გასამგზავრებლად, სადაც საქართველოსა და სპარსეთს შორის უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების პირველი სხდომა უნდა გამართულიყო.

საერთო შთაბეჭდილება ქალაქზე, „გრანდ-ოტელის" ფანჯრიდან რომ მოჩანდა, არც თვით ქალაქის ქუჩებში მოგზაურობისას შეგვცვლია. შენობებს ნაცრისფერი დაჰკრავს, რაც გულის გამაწვრილებელ მოწყენილობას გგვრის. სახლების უმეტესი ნაწილი ორ და სამსართულიანია. ცოტა როდი შეგხვდება ერთსართულიანი სახლიც. აქედან ადვილად მიხვდები კაცი, რა ვეებერთელა ტერიტორია უჭირავს ქალაქს, რომლის მოსახლეობის საერთო რიცხვი კოლოსალურ ციფრს აღწევს! არც პარკებია, არც ხიდები, ქუჩებიც ვიწროა და გამვლელ-გამომვლელსაც იშვიათად მოჰკრავ თვალს. აქა-იქ კოჭებამდე შავ ჩადრში გახვეული ქალი გაივლის. ქალებს მხოლოდ სახე უჩანთ, სხვას ყველაფერს კი ეს უფორმო ჩადრი უფარავთ. ხმარებიდან გადავარდნილი ჩადრი ხელახლა შემოიღეს, როდესაც ჰომეინის რეჟიმმა გაიმარჯვა და რეზა-ფეჰლევის მონარქიული სპარსეთი, ასე დიდხანს რომ სცემდა თავზარს მთელ ახლო აღმოსავლეთს, ირანის მუსულმანურ რესპუბლიკად გამოცხადდა!

მოყვითალოდ შეფეთქილი, თეთრზოლებიანი პრეზიდენტის სასახლე შუაგულ ქალაქშია. სასახლის პაწაწინა ეზო აქვს და გარს აგურის მაღალი გალავანი არტყია. ბრინჯაოს ჭიშკარი შეიარაღებულმა დაცვამ გაგვიღო და მანქანებიანად შიგ შეგვიშვა.

სასახლე სადაა, გემოვნებით აშენებული და აღმოსავლური პომპეზურობისა არაფერი ატყვია. იგი სამსართულიანია. პირველი სართულის საკმაოდ ფართო ვესტიბიულიდან, სადაც პალტოები გავიხადეთ, ოთხ თუ ხუთ საშუალო სიდიდის დარბაზში შედიხარ. ერთი მათგანი ოვალური დარბაზია, სადაც მეორე დღეს მინისტრების მიერ შედგენილი დოკუმენტების ხელმოწერა გაიმართა. ერთიც სწორკუთხოვანი, სადაც უმაღლესი დონის თათბირები და მოლაპარაკებები იმართება. დანარჩენი დარბაზები ჰოლის თუ ვესტიბიულის გაგრძელებაა და აქ სტუმრებს დაბალ მაგიდებზე ჩამწკრივებული ნუშის კაკლით, ყურძნით, ციტრუსით, ყავითა და ხილის წვენებით უმასპინძლდებიან.

უქმად წუთიც არ იკარგება. როგორც კი სტუმრებმა და მასპინძლებმა თავი მოვიყარეთ, გაიღო სწორკუთხა დარბაზის კარი. არავითარი ლივრეიანი კარისკაცები და ლაქიები. ირანი რევოლუციური ქვეყანაა და აქ რევოლუციის შესაფერი სისადავე და წესრიგი მეფობს. თვით მინისტრებსაც კი უბრალო ქსოვილისაგან შეკერილი ევროპული კოსტიუმები აცვიათ. ყველა უჰალსტუხოა. ყელი მოღეღილი აქვთ, ან პერანგის მაგიერ შიგ მაღალყელიანი ნაქსოვი აცვიათ. წვერის მოშვება სახელმწიფო მოხელისათვის და მათ შორის მინისტრებისათვის, სავალდებულოა. მაგრამ ამასაც ზომა-წონა სჭირდება. წვერი მხოლოდ იქამდე უნდა მოუშვა, რომ ხელი ეკიდებოდეს. ამიტომაც უკლებლივ ყველა თანამდებობის პირი დაუდევრობის გამო გაუპარსავს ჰგავს. ეტყობა, ფეხსაცმლის გაწმენდაც ფუფუნებად და შაჰის რეჟიმის გადმონაშთად არის მიჩნეული და ამიტომაც ზოგიერთ მინისტრს ფეხსაცმელზე ტალახის კვალი ამჩნევია.

დარბაზი უკვე აევსოთ ჟურნალისტებს და ყოველი კუთხიდან გამალებული იღებდნენ. შეხვედრის საქმიანი ნაწილის დაწყებისთანავე ისინი დარბაზიდან გაიკრიფნენ. ორივე დელეგაციის წევრები ჩვენჩვენი სკამების უკან დავდექით. ყველას გვიდგა მაგიდაში ჩამონტაჟებული საკუთარი მიკროფონი და ფურცლების დასტა ჩანაწერების გასაკეთებლად.

არ გაუვლია ორ-სამ წუთსაც, დარბაზში იმავე კარით საქართველოს რესპუბლიკის მეთაური და ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი შემოვიდნენ, დამხვდურთ თავის დაკვრით მიესალმნენ და მაგიდის შუაგულში, ერთმანეთის პირისპირ, თავ-თავისი ადგილი დაიკავეს.

პრეზიდენტი რაფსანჯანი საშუალოზე ოდნავ მაღალია, სიგამხდრეც არ ეთქმის და ირანის ტანმორჩილ, თითქოსდა შიმშილობაგადატანილ მინისტრებში გოლიათად გამოიყურება. მაღალი თანამდებობის პირებს შორის წვერს მარტო ის იპარსავს. მეჩხერი ჭაღარა ულვაში თითქმის არ ემჩნევა. სახეზე სულ მუდამ კეთილი ღიმილის შუქი ადგია.

— სახელითა ალაჰისათა! — წარმოსთქვა მან მაჰმადიანთა უპირველესი საკრალური ფრაზა, რითაც ყოველი ოფიციალური სიტყვა იწყება და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა მისი მოწვევის მიღებისა და აქ ჩამობრძანების გამო. შემდეგ ვრცლად შეეხო ირანის დაინტერესებას ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ბედით, რომელთაგან სამი ამიერკავკასიაშია. მათ შორის საქართველო, თავისი უახლოესი მეზობელი, გამორჩეული სითბოთი მოიხსენია და აღუთქვა დამსწრეთ, რომ ირანის მთავრობა, თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებს მისი ეკონომიკის ფეხზე წამოსაყენებლად. საქართველოს ეკონომიკური სიძნელეები პრეზიდენტმა რეგიონულ სიძნელეებად მიიჩნია და დაახასიათა, როგორც საერთო მოვლენა, რომელიც დიდი ფედერალური სახელმწიფოს დაშლის გამო ეკონომიკური კავშირების რღვევას მოჰყვა. ირანი მზადყოფნას გამოთქვამს გვერდში ამოუდგეს მის მეგობარ საქართველოს, განაცხადა მან, გარკვეულ დათმობებზედაც წავიდეს და იკისროს ისეთი ვალდებულებებიც კი, რომელთა მიღება ამ ცოტა ხნის წინათ შეუძლებელიც კი ჩანდა. კერძოდ, პრეზიდენტი შეეხო ნავთობისა და საწვავი აირის საკითხს, რომელიც საქართველოს ენერგეტიკას დღეს ასე სჭირდება და აღნიშნა, რომ ირანის მხარე ყველა ღონეს მიმართავს საქართველოსათვის სასურველი შეთანხმების მისაღწევად. ირანის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე და სთხოვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, გამოეყენებინა თავისი გავლენა კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების მხრივ. აქვე დაუმატა, გაზსადენი მაგისტრალი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის და თქვენ, ალბათ, მოგიხდებათ, აზერბაიჯანის მთავრობასთან სათანადო შეთანხმებას მიაღწიოთო.

დასასრულ საქართველოს სამთავრობო დელეგაციას და სახელმწიფოს მეთაურს პრეზიდენტმა წარმოუდგინა დელეგაციის წევრები, ირანის ისლამური რესპუბლიკის მინისტრები და სიტყვა დაუთმო ედუარდ შევარდნაძეს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაიხადა თავაზიანი მოწვევისა და გულითადი დახვედრისათვის, რაც პირადად მას და საქართველოს სამთავრობო დელეგაციას თეირანში მოუწყვეს. მოკლედ მიმოიხილა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და მადლიერება გამოთქვა მეგობარი ირანელი ხალხის მიმართ, რომელიც მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს მეზობელ საქართველოს, როდესაც მას უჭირს. პარლამენტის თავმჯდომარემ გაიზიარა პრეზიდენტის რჩევა, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე ყარაბაღში და აღნიშნა, რომ საქართველოს მართლაც გააჩნია საამისო რეზერვები და ეს რეზერვები გამოყენებული იქნება.

— რაც შეეხება საწვავი აირის ტრანსპორტირებას, — თქვა შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, — შეიძლება თქვენმა აღმატებულებამ ჩათვალოს, რომ ეგ საქმე აქ ჩამოსვლამდე მოვაგვარეთ. ჩვენ მოველაპარაკეთ აზერბაიჯანის მთავრობას და მივიღეთ თანხმობა, რომ მის ტერიტორიაზე გამოვლით აირის ტრანსპორტირება მოვახდინოთ!

ამ წუთამდე მოლაპარაკება მკაცრ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში მიმდინარეობდა. ყველა დაძაბული და უაღრესად სერიოზული იყო. იფიქრებდი, მტრისა და ავისას, წინ მიცვალებული უსვენიათო. მაგრამ აი, შევარდნაძემ დაიწყო დელეგაციის წევრების წარდგენა, რომელთაგან არამინისტრი მხოლოდ ბატონი თამაზ გამყრელიძე და ამ სტრიქონების ავტორი ვიყავით.

ჯერი მიდგა საქართველოს ფინანსთა მინისტრ ბატონ კახაბერ პაპიაშვილზე.

— ფინანსთა მინისტრი კახაბერ პაპიაშვილი, — თქვა ბატონმა ედუარდმა, გაიღიმა და პროტოკოლს ზევით დაუმატა: — კარგი კაცია, კარგი მინისტრიცაა, მაგრამ რად გინდა, ფული არა აქვს!..

ჩვენ თავი ვეღარ შევიკავეთ და გაგვეცინა. ეს სიტყვები რომ თარჯიმანმა, ბატონმა ჯემშიდ გიუნაშვილმა სპარსულად თარგმნა, მოლაპარაკების მაგიდაზე ვითარებისათვის სრულიად უცხო ჰომერული ხარხარი ატყდა. მოკვდა სიცილით მისი აღმატებულება პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი, იცინოდა მისი მკაცრი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამას წინათ პარიზში რომ შეხვედრია ბატონ ალექსანდრე ჩიქვაიძეს, იცინოდა თვით შევარდნაძეც. ადამიანებს შორის ადამიანურმა ურთიერთობამ გაიღვიძა. არა და, რა ქვეტექსტი ჰქონდა პროტოკოლის დამარღვეველ ხუმრობას, რამდენი ასეული პირქუში სიტყვა უნდა დახარჯულიყო, მათში ჩაქსოვილი აზრის გამოსათქმელად!

იყო მეორე უწყინარი ხუმრობაც. ის სწორედ მაშინ ითქვა, როდესაც დელეგაციის წევრების წარდგენა დამთავრდა.

— საქართველო ხელმოკლე ქვეყანაა, მაგრამ, როგორც ხედავთ, მინისტრების ნაკლებობას არ განიცდის!

ავდექით, როგორც მეგობრები, თუმცა ერთმანეთის ენა არ გვესმოდა, თითქოს სულაც არ არსებულიყოს ის ორი ათას ხუთასი წელიწადი, ქართველს და სპარსელს, როგორც დაუძინებელ, მოსისხლე მტრებს, ერთმანეთისაგან რომ აშორებდა. წარმოიდგინეთ, მოლაპარაკების დროს გვერდს ვერც ისტორიას აუვლიდი, არა და ის ჩვენთვის აგრერიგად საჭირო შეთანხმების სასარგებლოდ, სულაც არ მეტყველებდა!

მეორე დღეს, ხანმოკლე ვიზიტის დასკვნით შეხვედრაზე, როდესაც იმავე დარბაზში მოლაპარაკების ძირითადი პრინციპების შემცველ ერთობლივ დეკლარაციას ხელი მოაწერეს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ნახევრად ხუმრობით თქვა:

— მე განათლებით ისტორიკოსი გახლავართ. ახლა რომ ისტორიის ანალებზე გადავიდე, ხვალ ამ დრომდე ვერ მოვათავებ!..

ამით ყველაფერი ითქვა და თანაც ითქვა ისეთი ფორმით, რომელიც არავის არაფერს ავალდებულებდა.

დეკლარაციაზე ხელის მოწერის შემდეგ, სანამ ოვალურ დარბაზში გადავინაცვლებდით, სადაც ორივე მხარის მინისტრებმა ხელშეკრულებათა 16 პროექტზე ხელი მოაწერეს და დედნები გაცვალეს, პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ თქვა:

— ძვირფასი სტუმრები ჩვენ აგრე ადვილად არ გვეთმობა. გეპატიჟებით ჩვენი სამშობლოს სამხრეთში, სადაც ახლა თბილა და მეგობრული დახვედრა გელით!..

მიპატიჟების მიღება დროის უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, მიღწეულია შეთანხმება, რომ საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ამა წლის აპრილში ეწვევა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო ზაფხულის პირველ თვეს თვით პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი.

პრეზიდენტისა და თარჯიმნის თანხლებით საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ისლამური რესპუბლიკის საერო და სასულიერო ბელადს, აიათოლა ხომეინის შემცვლელ აიათოლა ხამენეის, რომლის პორტრეტებით, აიათოლა ხომეინისა და პრეზიდენტ რაფსანჯანის პორტრეტებთან ერთად, მოფენილია მთელი თეირანი და მთელი ირანი.

სამწუხაროდ, მე არ შემიძლია დამსწრის უშუალობით გადმოვცე ირანის რევოლუციის ბელადთან ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრის პერიპეტიები. მხოლოდ ის ვიცი, რომ შეხვედრა მეტად თბილი და კეთილმეგობრული იყო. ირანს ახსოვს, ახსოვს თვით აიათოლა ხამენეისაც, რომ ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც ის ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, დაუფასებელი სამსახური გაუწია პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეულ მეზობელ სახელმწიფოს, აიათოლა ხომეინის პირადად ესტუმრა მის რეზიდენციაში და ირანისათვის უაღრესად სასარგებლო წინადადებები შესთავაზა. ბატონ ედუარდს გაუხსენეს ავანსად გაცემული სიკეთე და აღუთქვეს, რომ მის სამშობლო საქართველოს სამაგიერო სიკეთეს მიაგებენ.

მეორე დღეს, 20 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ანუ იმათებურად 5 საათსა და 30 წუთზე, აეროპორტის თეთრი შენობის წინ კვლავ გაიჭიმა საპატიო ყარაული, კვლავ დაიგო ალისფერი ხალიჩები, კვლავ ატკაცუნდა საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები, კვლავ აჟღერდა ჰიმნები და უძრავად გაქვავებული მწყობრის ჩამოვლის შემდეგ ორივე სახელმწიფოს მეთაურები საჰაერო ხომალდის ტრაპისაკენ გაემართნენ. აქ ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ახალი მეგობრული შეხვედრის იმედით დაშორდნენ.

აეროდრომზე ცივი ქარი ქროდა. რაფსანჯანიმ ხელი ჩალმაზე იტაცა, თეთრი მოსასხამი საიმედოდ შემოიტმასნა და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად აეროპორტის შენობის აივანს მიაშურა, სადაც ქარი ნაკლები სიძლიერით უბერავდა. ტრაპებმა უკან დაიხიეს და თავისი გზით წავიდნენ. სმენაზე მდგარი ორკესტრი და საპატიო ყარაული ადგილიდან არ დაძრულა.

თვითმფრინავმა ძრავები ჩართო. ილუმინატორში დიდხანს ჩანდა ირანის მთავრობის წევრთა ჯგუფი, რომლის შუაგულში თეთრებში გამოწყობილი პრეზიდენტი რაფსანჯანი იდგა და ისინი თვალს მხოლოდ მაშინ მიეფარნენ, როდესაც ხომალდი ძრავების გუგუნით შებრუნდა და ასაფრენ ბილიკზე გავიდა.

22-28 იანვარი 1998 წ.

ქველმოქმედება

ნამდვილი სპექტაკლი, ანუ ხელები შორს...

ჯემალ ჩახავა

ამ ცოტა ხნის წინათ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა აკადემიურმა ანსამბლმა საქველმოქმედო კონცერტი გამართა. ქართველი კაცი და სიმღერა განუყოფელია, საუკუნეების მანძილზე ლხინისა და მწუხარების მოზიარედ გაგვყვდომია ქართული ჰანგები. გამარჯვებითა თუ დამარცხებით გამოწვეულ ტკივილს ყოველთვის შუაში ედგა ჩვენი უნიკალური სიმღერები, რომელსაც სიკვდილი არ უწერია თავის მშობელ ხალხთან ერთად.

ამ მძიმე ცხოვრების პირობებში, ცოტა არ იყოს, იმედის გაცრუებას მოველოდით. გვეგონა, რომ ათასგვარი ყოველდღიური პრობლემები ხელს შეუშლიდა მრავალ მაყურებელს, რომლებსაც სულითა და გულით უყვართ ქართული სიმღერები, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მაყურებლებით გაივსო დარბაზი. ისინი და ამ სტრიქონის ავტორიც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიდან მხოლოდ სიმღერასა და ცეკვას მოელოდნენ, ე. ი. კონცერტს, მაგრამ ეს იყო ნამდვილი სპექტაკლი, სადაც ორიგინალურად და ახლებურად იყო გადაწყვეტილი ის ერთი საათი (სპექტაკლი ერთ საათს გაგრძელდა). როდესაც დამთავრდა ეს უმშვენიერესი საღამო, აღტაცებულმა მაყურებლებმა შეძახილებითა და გულთბილი ტაშით დააჯილდოვეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ჭკუასელი, მთავარი ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი რევაზ ჭოხონელიძე და ანსამბლის წევრები.

სპექტაკლიდან შინ მიმავალს თვალწინ მედგა იდეალური ნამდვილი ქართული სამოსი, მოცეკვავე ქალ-ვაჟებს რომ ემოსათ და სიამოვნებას მგვრიდა უკვე მათი გახსენებაც კი. მხატვარი ჩვენი სასიქადულო მერაბ ბერძენიშვილია და მის მიერ შესრულებულ ტანსაცმელს ნაკლს ვერ უპოვიდით. „მრავალჟამიერი", „ხასანბეგურა", „დავლური", „ალილო" „ქალთა ცეკვა, „აჭარული", „ვაგიორექო", „ერთი ვარდი", „ხანჯლური", „ჩაკრულო" და კიდევ ვინ მოსთვლის, რით არ გაგვიხარეთ იმ ღამეს მაყურებლებმა, ყველაფერი ეროვნული, ყველაფერი ხალხური და, ამავე დროს, დიდი ოსტატობით შესრულებული სიმღერები და ცეკვები, რითაც ასე ძლიერია ჩვენი ხალხი.

სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ შენობა, რომელიც საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს ეკუთვნის და გვეგონა, რომ მთლიანად მისი კუთვნილება იყო, თურმე, რაღაც გარიგებებით უნდათ დაისაკუთრონ უჩინარ მაფიოზურ ორგანიზაციებს, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ შენობის დიდი ნაწილის მიტაცებისთვის. სასაცილოა ყოველივე ეს, სატირალი რომ არ იყოს. ასე და ამგვარად, ეს უმშვენიერესი ხალხური ანსამბლი, რომელიც ასე სიყვარულით ემსახურება მშობელ ხალხს, განსაცდელშია. იქნებ რუსთაველის გამზირზე ყოფილ ოფიცერთა სახლის კედლებზე ტრანსფარანტები გავაკრათ „ხელები შორს ქართული სიმღერებისა და ცეკვებისაგან".

• • •

სურათზე: სცენაზეა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

უნდა დავიბრუნოთ ღიმილი!

ლილი ფოფხაძე

80 წელი სცენაზე — მთელი სიცოცხლეა. მოსაგონარს რა გამოლევს, მაგრამ დროს თავისი სათქმელი მოაქვს და რადგან ქალი ყველაზე უკეთ შვილში იცნობა, ჩვენც შვილით დავიწყებთ.

გული დამეწვა, პოეტის მწარე სტრიქონები რომ წავიკითხე: „ანგრეული ლიანდაგი, დანგრეული ხიდი... ვინ ქვეყნისთვის იღუპება, ვინ ქვეყანას ყიდის". მერე უცებ გამახსენდა აფხაზეთში საომრად მიმავალი თამაზ აფხაიძე, მაღალი, წარმოსადეგი ყმაწვილი კაცი, რომელმაც დამშვიდობებისას აცრემლებულ დედას უთხრა: „რა იყო, დედა, სხვებს შვილები არ უყვართ"? და კარი გაიხურა.

კართან კი გაოგნებული კარგახანს იდგა და უხმოდ ტიროდა საქართველოს სახალხო არტისტი ნანა ფაჩუაშვილი, რომელსაც სასცენო მოღვაწეობის 80 წელი შეუსრულდა...

— როცა საქართველოს სცივა, შია და სისხლი სდის იარებიდან, ყოველგვარი სიხარული ცრემლნარევია, ასობით თქვენი მაყურებელი, ვინც ჩემთან ერთად სიამოვნებით მოგილოცავდათ ამ თარიღს, ტყვიების წვიმაში ერეკება გადამთიელებს ჩვენი მიწიდან. მოდით, თქვენ მიაწვდინეთ მათ ხმა, უთხარით რამე.

— შორიდან ვლოცავ და ვეფერები ქართველ მეომრებს, ბევრი ცრემლი და ნაღველი გავაყოლე დაღუპულებს, ყოველი მათგანი ყოველ ქართველ დედას უკვდება. ხშირად, როცა ეკრანზე ვხედავ ბიჭების გათოშილ, დაღლილ, მაგრამ გაღიმებულ სახეებს, ვუსმენ მათ ომახიან სიმღერას, სასოწარკვეთილი ვფიქრობ, იქნებ დედებს მეტი მოგვეთხოვება, იქნებ წინ უნდა დავუდგეთ მტერს და მკერდით დავიფაროთ ჩვენი შვილები. იქნებ ეს გვიშველის, იქნებ... არ ვიცი.

— თეატრს პრობლემები ყოველთვის ჰქონდა, დღეს კი, სამწუხაროდ, მის გადარჩენაზეა ლაპარაკი. ეს საშინელებაა, ეს სიკვდილს უდრის და არამარტო იმათთვის, ვინც თეატრში მუშაობს.

— როცა საქართველოა გადასარჩენი, თეატრის გადარჩენაზეც შეიძლება საუბარი. თეატრს, როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებს, სერიოზული რეფორმები სჭირდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქართველ ხალხს სულიერებაზე არასოდეს უთქვამს უარი და, იმედია, არც ახლა იტყვის. მჯერა, თუ თეატრში რეპეტიციის ჩატარება შეიძლება, შეიძლება კარგი სპექტაკლის დადგმაც. ეს კი მაყურებელს მოიყვანს, მშიერ, შემცივნულ, მაგრამ თეატრზე შეყვარებულ მაყურებელს. ხშირად ვამბობთ, ქართველები ღიმილს გადავეჩვიეთო, ეს მწარე სიმართლეა. უნდა შევძლოთ და მაყურებელს დღესასწაული დავახვედროთ თეატრში, როგორმე უნდა დავიბრუნოთ ღიმილი.

— შორიდან იღბლიან მსახიობად მოსჩანხართ. სამუშაო არ მოგკლებიათ, მთავარი როლი არ მოგნატრებიათ. გვიამბეთ იმ ადამიანებზე, ვისაც „დაბრალებდით" თქვენს წარმატებებს.

— როლების სიმრავლე ყოველთვის მსახიობის წარმატებას არ ნიშნავს. ჩემს შემთხვევაში ამის განსაზღვრა მაყურებლისათვის მიმინდვია, მაგრამ ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ წუნია არ ვიყავი, ამბიციები არ მაწუხებდა — სამუშაოზე უარი არასოდეს მითქვამს. ყველა თაობის რეჟისორებთან მიმუშავია, ახლა კი იმ ადამიანებს დავასახელებ, ვისაც უნდა „დავაბრალო" ყოველი ბედნიერი დღე ჩემს პროფესიაში. დოდო ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, თემურ ჩხეიძე, რობერტ სტურუა. როგორია? იღბალიც ამას ჰქვია, მადლობა უფალს!

— ახლობელთაგან თუ გყავთ „კრიტიკოსი", ვის გამოც ყველაზე მეტად ღელავთ პრემიერის დღეებში?

— როგორ არა. — ჩემი მეუღლე, ტრისტან ყველაიძე, პირწავარდნილი აგრესორია, კრიტიკოსებისაგან ოჯახში შემოგზავნილი. ზოგჯერ აუტანელია, დაუნდობელი, მაგრამ ვიცი, რომ სიმართლეს მეტყვის და მოთმინებით ვუსმენ.

— იყო ისეთი დღე, როცა მოგეჩვენათ, რომ თეატრი გძულდათ?

— იყო. პრემიერის დღეა. თეატრში ადრე მივედი. რეჟისორი მეუბნება: „თქვენ პრემიერას არ ითამაშებთ". გიჟივით გამოვვარდი შენობიდან, მძულდა თეატრიც და საკუთარი თავიც.

— ასე უთქვამთ, ადამიანი 40 წლის შემდეგ საკუთარ გარეგნობაზე თავად აწერს ხელსო. ამ მხრივ როგორ მოგწონთ საკუთარი სახე, განსაკუთრებით ბოღმიან ხაზებს?

— ლამაზი ქალის პრეტენზიები არასოდეს მქონია. ჩემთვის მთავარი სცენური სილამაზე და შინაგანი მიმზიდველობაა. არის სხვაობა ამ ორ მომენტს შორის. ბევრი მსახიობი ქალი თუ მამაკაცი კულისებში ტოვებს სილამაზეს. სცენას თავისი კანონები აქვს. რაც შეეხება ნაოჭებს, თქვენ რომ დელიკატურად ხაზები უწოდეთ, სცენიდან ნაკლებად მოჩანს და ამიტომ არ მაღელვებს. ერთხელ ანა მანიანის უთქვამს: სახის ყოველი ნაოჭი ნათამაშევ როლს მაგონებს და მიყვარსო. რადგან ჩემი როლების რაოდენობა გაცილებით ჭარბობს ნაოჭების რიცხვს, ვფიქრობ, საგანგაშო არაფერია.

— ერთხელ პატარა ანიმ გკითხათ, ბებო, ხვალ იქნება ბევრი მზე? აუცილებლადო, უპასუხეთ. გჯერათ ხვალინდელი მზიანი ამინდის, გჯერათ, რომ პატარა ანი მშვიდობიან, ღონიერ საქართველოში იცხოვრებს?

— იცხოვრებს, აუცილებლად და თანაც ჩვენთან ერთად. მე იმედი მაცოცხლებს და ეს უნდა დავიჯერო. სხვა გზა არა მაქვს.

• • •

სურათზე: ნანა ფაჩუაშვილი ქმარ-შვილთან ერთად.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ საქართველოს თავდაცვის ფონდში.

იწყება გადამწყვეტი შეხვედრები

ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ქალთა შორის გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი. ამ ეტაპზე ერთმანეთის პირისპირ დადგებიან: მონიკა სელეში (იუგოსლავია) — გაბრიელა საბატინი (არგენტინა) და შტეფი გრაფი (გერმანია) — არანტა სანჩესი (ესპანეთი).

ვაჟთა ტურნირის მთავარი პრიზისათვის ბრძოლას აგრძელებენ შვედი სტეფან ედბერგი, ამერიკელი პიტ სამპრასი და გერმანელი მიჰაელ შტიჰი.

„დინამო" — სრული სვლით

მოსკოვში მიმდინარე ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოიკვეთა მომავალ ნახევარფინალისტთა კონტურები. თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, მთავარ მატჩში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამო"-მოსკოვის „სპარტაკი" და პანევეჟისის „ეკრანასი"-მინსკის „ბელარუსი".

გთავაზობთ ჯგუფური ტურნირის მეორე დღის შედეგებს: „ა" ჯგუფი. „სპარტაკი"-„სკონტო" — 7:0. ისვენებდა „ნეფთჩი". „ბ" ჯგუფი. „დინამო"-„ზიმბრული" — 3:1 (მოლდოველთა კარში გოლები გაიტანეს შოთა არველაძემ — 2 და გელა ინალიშვილმა), „ფახთაქორი"-„კოპეტდაგი" — 3:1, „გ" ჯგუფი. „ეკრანასი"-„ალგა" — 5:1. „ქაირათმა" უარი განაცხადა რუსეთის ჭაბუკთა ნაკრებთან თამაშზე. „დ" ჯგუფი. „ბელარუსი"-„ნორმა" — 1:0, „ომენიდმენი"-„რეგარი" — 2:1.

საჭადრაკო დაფებზე

თბილისის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატზე გრძელდება მაიების ტანდემის — ლომინეიშვილისა და გრიგალაშვილის გამარჯვებათა სერია.

მეექვსე ტურში პირველმა სძლია იამზე თვაურს, ხოლო მისმა სეხნიამ თამარ ხმიადაშვილი დაამარცხა. ლიდერებს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

4 ქულით მესამე-მერვე ადგილებს იყოფს ჯგუფი 6 მოჭადრაკის შემადგენლობით.

გერმანიაში დამთავრდა მიტროპის თასის გუნდური გათამაშება.

ტურნირი 19 ქულით მოიგეს უნგრელმა მოჭადრაკეებმა, რომლებმაც ნახევარი ქულით გაუსწრეს მასპინძლებს. მესამე პრიზიორი 15,5 ქულით გახდა შვეიცარიის ნაკრები.

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეს დიდი საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში გავიდნენ ანატოლი კარპოვი, ვალერი სალოვი (ორივე — რუსეთი), მიგელ ილესკასი (ესპანეთი) და ლემბიტ ოლი (ესტონეთი).

თბილისელთა უპირატესობით

მასპინძლებმა — თბილისელებმა მოიპოვეს საქართველოს ახალგაზრდული პირველობის ყველა მედალი ბატუტზე ხტომაში. ტურნირის მონაწილეთა ასაკი არ აღემატებოდა 18 წელს და იგი მხოლოდ პირად ჩათვლაში გაიმართა.

ინდივიდუალურ გამოსვლებში გაიმარჯვეს ხათუნა ბენდიანიშვილმა და კონსტანტინე ძებისაშვილმა, ხოლო სინქრონულ ვარჯიშებში ბადალი არ ჰყავდათ ნინო არღანაშვილსა და ირმა მელქაძეს, კახაბერ ქელივიძესა და თეიმურაზ მამალაძეს.

პროგრამის ცალკეულ სახეობებში პრიზიორები გახდნენ ეფრემ ბაინდურაშვილი, გიორგი შველიძე, ტატო მსხვილიძე, მიხეილ ზედიანაშვილი, ნატალია ინასარიძე, ქეთევან გელაშვილი და ნინო მნათობიშვილი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში •

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დახმარებაც ამას ჰქვია

მეტალურგიული ქარხნის „აზოტის", „ქიმბოჭკოსა" და რუსთავის სხვა საწარმოო გაერთიანებათა თავკაცები დახმარებას უწევენ მშრომელებს ამხანაგური მებაღეობის აღორძინების საქმეში. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" ადმინისტრაციამ იაროსლაველის საბურავების ქარხანაში შეიძინა დიდძალი სათადარიგო ნაწილები და უსასყიდლოდ გადასცა იგი რუსთაველ ავტოტრანსპორტელებს იმ მუშათა მომსახურებისათვის, რომლებსაც ბაღ-ბოსტნები აქვთ გაჩიანში, ახრამშენსა და სხვა სოფლებში.

მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა გურამ ქაშაკაშვილმა ამხანაგური მებაღეობის წევრებს უფასოდ მისცა ხიდის აგების, აგრეთვე 7 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზის გაყვანისათვის საჭირო საშენი მასალები, დაეხმარა მათ ვაშლის, მსხლის, კაკლის, ბლის, ატმის ნერგების შეძენასა და სათბურების მოწყობაში.

გვიან არასოდეს არ არის

თამბაქოს წევაზე ხელის აღება ამცირებს გულის შეტევის რისკს

თამბაქოს წევის მიტოვება გვიან არასოდეს არ არის, და რაც ეს ადრე იქნება, მით უკეთესი. ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებიც 12 წლის განმავლობაში თვალს ადევნებდნენ საშუალო ასაკის 117 ათასი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობას. მკვლევართა აზრით, მავნე ჩვევაზე უარის თქმა იმის გარანტიას იძლევა, რომ გულის შეტევის რისკი პრაქტიკულად ქრება მთლიანად 2-4 წლის შემდეგ.

მწეველი ქალები, ხაზს უსვამენ მეცნიერები, არამწეველ ქალებთან შედარებით ორჯერ უფრო ხშირად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით.

კრიმინალური ქრონიკა

ვაი რომ მოძმის ხელით...

ხარაგაულის რკინიგზის სადგურის წინამდებარე ბაქანზე მატარებლის მომლოდინე ხალხის თვალწინ შეზარხოშებული უსაქმური ახალგაზრდების ჯგუფიდან წალაპარაკების შედეგად ერთ-ერთმა ზურგში დანა ჩასცხო ქართულ შევარდენთა ლეგიონის წევრს ვეფხია ლომსაძეს, რომელიც ორი დღით იყო ჩამოსული ხარაგაულში ოჯახის მოსანახულებლად ოჩამჩირიდან, ბრძოლის წინა ხაზიდან. მისი სიცოცხლის ხსნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

დამნაშავენი მაშინვე მიიმალნენ, ტრაგედია, სამწუხაროდ, მოხდა დღისით-მზისით, ადამიანების თვალწინ, რომელთაგან არავის გაუღია ხელი აყალ-მაყალის დასაშოშმინებლად. უფრო მეტიც, ამ ამბის ბევრი თვითმხილველი სათანადო ჩვენებას არ აძლევს გამომძიებას და ხელს არ უწყობს მართლმსაჯულების აღსრულებას.

მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ჩვენს გასაჭირზე

დღეს სიკვდილი ძვირი ღირს

ლარისა თუმანიშვილი

ყოველ თვეს რიტუალურ მომსახურებათა მრავალდარგოვანი ფირმა „ჰერმესი" საშუალოდ 50 უპატრონოს ასაფლავებს.

— მართალია მათგან უმრავლესობას ნათესავები ჰყავს, — თქვა მისმა გენერალურმა დირექტორმა **დარეჯან ხეჩუაშვილმა**, მაგრამ რიტუალურ მომსახურებათა მნიშვნელოვანი გაძვირების გამო ყველას ხელი არ მიუწვდება ახლობლის დასაფლავებაზე. და ამ სამწუხარო რიტუალს ჩვენ თავად ვასრულებთ. ერთი ადამიანის დასაკრძალავად თბილისის საავადმყოფოები სულ 400 მანეთს გვიხდიან. დანარჩენს — ჩვენ ვიხდით.

— მაინც რა ჯდება ეს რიტუალი?

— 15 ათასი მანეთი — სახელმწიფო ფასებით. ამ თანხაში შედის ყველაფერი. სიკვდილის შესახებ მოწმობის გაფორმება იქნება თუ საფლავის გათხრა.

— მაგრამ თქვენი მუშაკები, და ეს არავისთვის არ არის საიდუმლო, ზედმეტსაც იღებენ და ზოგჯერ ეს თანხა რამდენჯერმე იზრდება...

— ვიცი. უნდა გითხრათ, რომ ვერავითარი ადმინისტრაციული ზომები საქმის ვითარებას ვერ გამოასწორებს. რამდენიმე მესაფლავე დავითხოვეთ. შეიძლება ყველა მოვხსნათ. მაგრამ ვინ მოვა ესოდენ სპეციფიკურ სამუშაოზე? უნდა დავძინო, რომ ამას ხელს უწყობს ზოგიერთი კლიენტიც, როცა მათ ფულით უხვად აჯილდოებს. გარწმუნებთ, რომ უფულოდაც შეასრულებენ ისინი თავიანთ სამუშაოს. შემთხვევა არა ყოფილა, რომ მათ ადამიანები დაეღალატებინოთ.

ჩვენ მთლიანად გადავედით თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე და არ ველით საქალაქო ხელისუფალთა დახმარებას. შესაძლებლობის კვალობაზე თბილისის მერია გვინაწილებს ბენზინს. ჩვენი შეხედულებისამებრ ვიყენებთ მას მასალების გადაზიდვისა და უპატრონოთა დაკრძალვისათვის. არადა, სასიარულო ბევრი გვაქვს — ხე-ტყე, საშენი ქვა, ცემენტია ჩამოსატანი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან. ცოტა ხნის წინათ მერიამ ნება დაგვრთო შეგვესყიდა ბენზინი კომერციული ფასებით.

ჩვენ ძალიან რთული სამსახური გვაქვს. ყველა საქმე, როგორც იტყვიან, ადვილად გამოსწორდება და მისი გადადებაც შეიძლება, სიკვდილის გარდა. ამიტომ უფლება არა გვაქვს მოვიმიზეზოთ მასალების, განსაკუთრებით ხე-ტყის უქონლობა. იძულებული ვართ შევისყიდოთ ისინი საბაზრო ფასებით. სწორედ ამიტომაც გაიზარდა ჩვენი მომსახურების ფასები. და მაინც, ჩვენი მუშაკის საშუალო ხელფასი ძლივს აღწევს 1500 მანეთს. მწარეა, მაგრამ ფაქტია, რომ ფირმა კლიენტის ხარჯზე არსებობს.

— მოსალოდნელია თუ არა უახლოეს მომავალში თქვენი მომსახურების ფასების მომატება?

— გამორიცხული არ არის. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გაიზრდება თუ არა მასალების ფასები. რაც შეეხება სასაფლაოზე ერთი საფლავის ფასს, ჯერჯერობით იგი კლიენტს დაახლოებით 150 მანეთი უჯდება. ეს ტარიფი შარშან იყო შემოღებული. მაგრამ ეს ხელს აღარ გვაძლევს, ამიტომ წლეულს იძულებული ვიქნებით გადავსინჯოთ ტარიფები, სამწუხაროდ, მათი გადიდების მიზნით.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

პირველი პრემია — ლამარა ქველიძეს

ლამარა ქველიძემ მოიპოვა პოლონეთში მიმდინარე კოპერნიკისადმი მიძღვნილი სამედალიონო ხელოვნების საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემია. ეს საპატიო ჯილდო მას მიენიჭა გორელიეფური მედალიონისათვის, რომელზეც ბრინჯაოშია ჩამოსხმული დიდი მეცნიერის პორტრეტი. ლამარა ქველიძე თანამედროვე ქართული სამედალიონო ხელოვნების ერთ-ერთი დამაარსებელია.

სამკურნალწამლო პრეპარატების შესაძენად

სამი მილიონი ეკიუ გამოუყო საქართველოს ევროპის გაერთიანებამ საზღვარგარეთ პირველი საჭიროების სამკურნალწამლო პრეპარატების შესაძენად. ამჟამად რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროსთან არსებულ ფარმაკოლოგიურ კომიტეტში დასრულდა მედიკამენტებისა და იმ მწარმოებელი ფირმების შერჩევისათვის მოსამზადებელი მუშაობა, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში. ფირმებთან, რომლებსაც მიენიჭებათ უპირატესობა, ევროპის გაერთიანების კომისიის დამტკიცების შემდეგ, საქართველო მოაწერს ხელს საქმიან კონტაქტებს.

დიდთოვლობა იმერეთში

ეს დღეები განუწყვეტლივ თოვს ზემო იმერეთში. თოვლის საფარმა ბევრგან 1,5 მეტრს გადააჭარბა, გაჭირდა მოძრაობა ხარაგაულში, ზესტაფონში, ჭიათურასა და საჩხერის ზონებში.

დაიწყო ზვავთცვენა გზებზე, ხევებში, შეფერხდა ელექტროენერგიის მიწოდება. დარღვეულია მატარებლებისა და ავტობუსების გრაფიკით მოძრაობა, უჯაჭვოდ ჭირს სატვირთო და მსუბუქი მანქანების მოძრაობა.

ზესტაფონის 25-ე საგზაო უბნის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რიკოთზე მოძრაობა არ შეფერხდეს. სამაგისტრალო გზებს წმენდენ გრეიდერები და სპეციალური მანქანები. უბანზე მობილიზებულია ტექნიკა. შეიქმნა სტიქიის წინააღმდეგ მებრძოლი შტაბები. იმერეთში კი კვლავ განუწყვეტლივ თოვს.

ჰენრი შარიქაძე.

ქრონიკა

ნუგზარ როგიტაშვილი განთავისუფლდა ქალაქ თბილისის ვიცე-მერის — მუნიციპალიტეტის პრემიერის თანამდებობიდან.

• • •

კონსტანტინე გვიშიანი განთავისუფლდა ახალციხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პირადი განცხადების საფუძველზე.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 27 იანვრის ნომერში დაბეჭდილი მასალის — **„ახალი წელი დაიწყო"** — უკანასკნელი სვეტის ბოლოდან მეათე სტრიქონში სიტყვა **„უბრალო"-ს** ნაცვლად უნდა იყოს **„უბრალოდ"**. დანარჩენი როგორც ტექსტშია.

ცხონება

გია მატარაძე

ქართველ კინემატოგრაფისტთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი კინორეჟისორი გია (გიორგი) მატარაძე. იგი დაიბადა 1939 წელს ქ. თელავში. 1968 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. როგორც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო ფილმებში: „წკიპურტები", „შემთხვევა ზურგში", „ჩაძირული ქალაქის მაძიებლები" და სხვ. 1979 წელს მოვიდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორად.

პირველი დამოუკიდებელი ფილმი — „შემთხვევა ზურგში", როგორც დამდგმელმა რეჟისორმა, გადაიღო შემოქმედებით გაერთიანება „დებიუტში", რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა ახალგაზრდა რეჟისორს, ხოლო მისმა პირველმა საკურსო ნამუშევარმა „სინქრონიზაციამ" სტუდენტ კინემატოგრაფისტთა ფესტივალზე პრიზი დაიმსახურა.

1980 წელს გია მატარაძე რუსთაველის თეატრს ახლდა ლონდონში. იქ გადაიღო დოკუმენტური ფილმი — „შექსპირის სამშობლოში".

საგულისხმოა, რომ გია მატარაძე მთელ თავის ფილმებში გვევლინებოდა, აგრეთვე როგორც სცენარის ავტორი.

მისი ბიოგრაფიული შემოქმედების მშვენებაა ფილმი „შვიდი პატარა მოთხრობა სიყვარულზე", რომელმაც მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ნიჭიერი კინემატოგრაფისტის, გულისხმიერი მეგობრის გია მატარაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში.

კინოკონცერნი „ქართული ფილმი".

სააქციო საზოგადოება „არაგვი კორპორეიშნი".

ARAGVI
АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО
SOINT-STOCK COMPANY

რომელშიც შედის საერთაშორისო სავაჭრო სახლი, ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საქველმოქმედო ფონდი, თავისი საქმიანობის ძირითად მიზნად ისახავს იმ კომერციული სტრუქტურებისა და ბიზნესმენების ხელშეწყობას და დაფინანსებას, რომელთა საქმიანობა ემსახურება ქ. თბილისის უმნიშვნელოვანესი რესურსებით უზრუნველყოფას. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ თანამშრომლობისათვის.

საქციო საზოგადოება „არაგვი კორპორეიშნი" თავის საქველმოქმედო საქმიანობაში ცდილობს ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს:

— ორგანიზაციებს, რომლებიც მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახების, ბავშვთა და მოზარდთა პრობლემების გადასაჭრელად იღვწიან;

— ქ. თბილისის მერიას სოციალური პროგრამების გადაწყვეტაში;

— რესპუბლიკის პოლიციას, ტექნიკური ბაზის და პირადი შემადგენლობის სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით.

1993 წლის დამდეგს საქციო საზოგადოება „არაგვი კორპორეიშნის" საქველმოქმედო ფონდმა უკვე გადასცა:

— 500 ათასი მანეთი რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს;

— 500 ათას მანეთზე მეტი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საკომუნიკაციო-საინფორმაციო აპარატურის სახით;

— 400 ათასი მანეთი ქ. თბილისის მერიის ფონდს ლტოლვილთა დასახმარებლად.

საქციო საზოგადოება „არაგვი კორპორეიშნის" გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება გადარიცხოს 500 ათასი მანეთი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდში.

ს/ს „არაგვი კორპორეიშნი". საკონტაქტო ტელეფონი: 99-78-85. ფაქსი 8-8832-998884.

თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების არასტანდარტული მოწყობილობების მცირე საწარმო

გთავაზობთ:

ხისდამამუშავებელ, ლითონის ბადის საქსოვ და ლითონის შიფერის დასამზადებელ ჩარხებს.

თქვენი სურვილის მიხედვით სხვადასხვა სპეციალური ჩარხდანადგარებისა და არასტანდარტული მოწყობილობების დაპროექტებასა და დამზადებას.

უცხოური ჩარხ-დანადგარების, ავტომატური ხაზების სათადარიგო და მწყობრიდან გამოსული დეტალების დაპროექტებასა და დამზადებას. **ამით თქვენ დაზოგავთ ძვირფას დროს და უფრო ძვირფას ვალუტას.**

გაყიდვა სახელშეკრულებო ფასებით.

საკონტაქტო ტელეფონები: 71-72-69; 71-66-43.

თანხის გადახდის გარანტიას ვიძლევით. ჩვენი ანგარიშის ნომერია 000606745 საქართველოს სამეფო ბანკში.

საბროკერო ფირმა „ბდმ"

გთავაზობთ:

1. აგურის მწარმოებელ კომპლექსს „КПК" — მწარმოებლობა 1400 ცალი საათში.

წარმოების მეთოდი — ნახევრადმშრალი დაწნეხვა.

2. უნივერსალურ ლაქს „ქუკერსოლს" (ბალტიისპირეთი).

ფასი და ანგარიშსწორების ფორმა შეთანხმებით.

ჩვენი მისამართია: დ. ალმაშენებლის გამზ. № 75, ტელ.: 96-06-05.

კერძო განცხადებები

ვცვლი

გორიდან სამოთახიან ტუფით ნაგებ მაღალჭერიან ბინას, სარდაფითა და გარაჟით თბილისში საბურთალოს ან ვერის რაიონში ორ ან სამოთახიან ბინაზე.

მსურველმა დარეკოს თბილისში — 38-49-43 ან გორში — 2-42-38, საღამოს საათებში.

ქირავდება

ოფისისათვის სამოთახიანი იზოლირებული ბინა (უავეჯოდ), ტელეფონით, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან.

ტელეფონი: 23-36-48.

საქართველოს საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამაზ გენძეხაძეს დედის

ნელი ცერცვაძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.